603/14-088

№ 1
(11 253)

5 - 11 იანვარი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გუშინ, ტრადიციულ რადიოინტერვიუში შეეხო რა ახალ, 1999 წელს განსახორციელებელ პროგრამებს, ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა: „წლეულს, მრავალ პროგრამათა შორის დაიწყება ჯანსაღი სკოლის, სკოლებში ფართომასშტაბიანი სპორტული აქტივობის დანერგვის პროგრამის განხორციელება“...

# სეოკის მიერ საქართველოს 1998 წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებული მოკრივე კობა გოგოლაძე პროფესიონალებში გადავიდა

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურის

## განცხადება

ცნობილი გახდა, რომ სეოკ-ის ვერსიით 1998 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენმა, მოკრივე კობა გოგოლაძემ ხელი მოაწერა კონტრაქტს პროფესიონალებში გადასვლის თაობაზე. შესაბამისად ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებზე მისი გამოსვლა გამოირიცხა.

სეოკ-ის ხელმძღვანელობა, დარწმუნებული ვართ, ისევე როგორც გულშემატკივრები და სპორტული საზოგადოებრიობა, სინანულითა და შეშფოთებით შეხვდნენ ამ ინფორმაციას, რადგან კობა გოგოლაძე სწორედ იმ სპორტსმენად მოიაზრება, რომელსაც რეალურად შეეძლო ოლიმპიური მედლისათვის ბრძოლა.

უკანასკნელი რამდენიმე წელია თავისი შესაძლებლობების ფარგლებში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი კ. გოგოლაძეს არ აკლებდა ყურადღებას, მხარში ედგა როგორც მატერიალურად, ისე მორალურად.

გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ სპორტსმენი ხელს აწერს რა ხელშეკრულებას სეოკ-თან, რომლის მიხედვით ვალდებულებას იღებს იბრძოლოს ჯერ სიდნეის ლიცენზიის მოსაპოვებლად, ხოლო შემდეგ ოლიმპიური მედლისთვის, პარალელურად კი აწარმოებს მოლაპარაკებას პროფესიონალურ სპორტში გადასვლის თაობაზე.

რამდენადმე გაუგებარია კრივის ფედერაციის ხელმძღვანელობის, ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის, რომელიც იმავდროულად სპორტსმენის პირადი მწვრთნელიცაა, მომხდარზე გაოცება, რომ მათ აღნიშნულის შესახებ მხოლოდ ხელმოწერის შემდეგ გაიგეს. კარგა ხნის მანძილზე მოკრივე ხომ დედაქალაქის ერთ-ერთ სპორტულ ბაზაზე ემზადებოდა ინგლისში წინასაკონტრაქტო საჩვენებელი თუ სასპარინგო შეხვედრისთვის. სამწუხაროა ის, რომ, როგორც ამბობენ, კ. გოგოლაძეს ამ ნაბიჯის გადადგმაში სხვებთან ერთად მხარში ედგა გამოჩენილი სპორტსმენები და სპორტთან ახლოს მდგომი ადამიანები.

ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოს მოქალაქეობა შეიცვალა ან პროფესიონალი სპორტსმენის სტატუსი მიიღო უკვე ოთხმა მოკრივემ. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ამ მხრივ „მუშაობა“ კვლავაც გრძელდება.

ჩვენთვის სრულიად გასაგებია, რომ სპორტსმენი ცდილობს გაიუმჯობესოს მატერიალური მდგომარეობა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ კობა გოგოლაძემ რამდენადმე იჩქარა — მას ჯერ არ დაულაშქრავს სამოყვარულო სპორტის სიმაღლეები — იგი არც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია და არც ოლიმპიური თამაშების პრიზიორი. ოლიმპიური თამაშების მედალოსანს კი პროფესიულ სპორტში გაცილებით უკეთესი პირობები ექნებოდა.

კ. გოგოლაძის მაგალითმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ აუცილებელია საქართველოს ნაკრები გუნდის წევრისა და შესაბამისი სპორტული სტრუქტურის ურთიერთობის მარეგულირებელი ისეთი სამართლებრივი მექანიზმის შემუშავება, რომელიც როგორც სპორტსმენის, ისე ქვეყნის სპორტის ინტერესებს დაიცავს.



# ავსტრალია, უსამპრასოდ...

მსოფლიოს ნომერ პირველმა ჩოგანმა პიტ სამპრასმა გადაღლილობის გამო უარი თქვა „დიდი სლემის“ წლეულის პირველ ტურნირში (ასეთი სულ ოთხია) მონაწილეობაზე. ასე რომ Australian open მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის გარეშე ჩატარდება. გადაღლის მიზეზად კი იმას მიიჩნევენ, რომ შარანდელის მიწურულს სამპრასს ძალიან გაუჭირდება თავისი საუკეთესო რეიტინგის შენარჩუნება — მას მეტად ძნელ და დაძაბულ ტურნირებში მოუწია პირველობის დაცვა.

## მილოცვა. დაჯილდოება

საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტი დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის ფუძემდებელს, ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს *რევაზ მანჯავიძეს.*

***

საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა *რევაზ მანჯავიძე* დეპარტამენტის საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

## ფაქსი მოსკოვიდან

წარსულში ცნობილმა თანამედროვე ხუთჭიდელმა და მწვრთნელმა ვალერიან (სულიკო) როგავამ, რომელიც ამჟამად მოსკოვში მოღვაწეობს, შემდეგი ფაქსი გამოგზავნა „ლელოში“.

„ბატონო რედაქტორო, თქვენი რედაქცია და ჩვენ ათეული წლები კარგად ვიცნობთ წარსულში შესანიშნავ სპორტსმენს, მწვრთნელს და სპორტულ ფუნქციონერს, საქართველოს პირველ თანამედროვე ხუთჭიდელს, პიონერსა და ფუძემდებელს,1952 წლის სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდის წევრს რევაზ მანჯავიძეს.

გთხოვთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით მიულოცოთ ბატონ რევაზს დაბადებიდან 70 წლისთავი, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, ყოველგვარ სიკეთეს და ოჯახურ ბედნიერებას, რათა კიდევ მრავალი წელი ემსახუროს საქართველოში სპორტული და ოლიმპიური მოძრაობის სრულყოფა-ალმავლობას. ღრმა პატივისცემით გილოცავთ ბატონო რეზო!

წრფელი მადლიერებით

სულიკო როგავა, მოსკოვი

# გარდაიქმნა საფეხბურთო სამყაროში?




„მე მინდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს“ — ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა ფიფას პრეზიდენტმა.

ამ მოსაზრებას ბლატერი შვეიცარიის ერთ-ერთ გაზეთში მიცემულ ინტერვიუში იმით ამაგრებს, რომ დღეს მსოფლიოში დომინირებს საკლუბო ფეხბურთი და დადგა დრო, მეტი ყურადღება დაეთმოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს, ამაღლდეს მათი პრესტიჟი. ამასთან, ბლატერი მიიჩნევსს, რომ ევროპის ჩემპიონატი უნდა გაიმართოს ყოველწლიურად. კონტინენტის ჩემპიონატებში თავგამოჩენილი გუნდები ავტომატურად გამოვლენ მსოფლიო ჩემპიონატში.

„1930 წლიდან, როცა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა, საკმაო დრო გავიდა და ამ სისტემით ასპარეზობამ დრო მოჭამა“ — აცხადებს ბლატერი და რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, დასძენს, რომ 30-იან წლებში ჭირდა კონტინენტიდან კონტინენტზე გადაადგილება, ახლა ეს პრობლემა მოიხსნა და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მსოფლიო ჩემპიონატის გამართვა მართლაც შესაძლებელია.

გამოუჩნდებიან ბლატერს მხარდამჭერები? ვნახოთ!

# 1998 წლის რჩეულნი

## არაოლიმპიურ სახეობებში

1998 წლის შედეგების მიხედვით საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა კომიტეტმა (პრეზიდენტი მურთაზ მნათობიშვილი) დაასახელა 10 საუკეთესო სპორტსმენი, 3 ნაკრები, 3 მწვრთნელი და 3 მსაჯი.

**საუკეთესო სპორტსმენთა ათეული ასე გამოიყურება:**

1. ვახტანგ ჯავახაძე (მკლავჭიდი), 2. გიგა კორძაძე (კიკბოქსინგი, ტაილანდური კრივი), 3. ერეკლე გურჩიანი (მკლავჭიდი), 4. გიორგი მინდიაშვილი (ათლეტიზმი), 5. გურამ გოგოლაშვილი (მკლავჭიდი), 6. გია თორთლაძე (მთამსვლელობა), 7. ალექსი დავითაშვილი (ქართული ჭიდაობა), 8. ტარიელ ბიწაძე (კიკბოქსინგი), 9. ნიკო ბობილაშვილი (სამბო), 10. გიორგი მაჩაბელი (კარატე)

**სამი საუკეთესო ნაკრები:**

1. მკლაჭიდელთა ნაკრები, 2. მთამსვლელთა ნაკრები, 3. სამბისტთა ნაკრები

**სამი საუკეთესო მწვრთნელი:**

1. ვახტანგ მუსელიანი (მკლავჭიდი), 2. გოჩა ჯავახია (კიკბოქსინგი), 3. ზაზა ჯაფარიძე (ათლეტიზმი).

**სამი საუკეთესო მსაჯი:**

1. ემილ რაში (სამბო), 2. თემურ რამიშვილი (კარატე),3. ნუხა გაგოშიძე (გამაჯანსაღებელი ღონისძიებები).

**მძლეოსნობაში...**

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ყარამან საბანაშვილმა გვაცნობა, რომ „სპორტის დედოფლის“ ამალიდან საუკეთესო სამეულში მოხვდნენ მხოლოდ სპრინტერები — თამარ შანიძე, რუსლან რუსიძე და ნინო ბაგაშვილი, ხოლო საუკეთესო მწვრთნელად ირაკლი გოზალიშვილია დასახელებული.

**ნიჩბოსნობაში...**

ბაიდარა და კანოე. საუკეთესო სპორტსმენები: გიორგი კახიშვილი, ალეკო დვალიშვილი, ზაზა ჯიშკარიანი, ალეკო იმედაძე, კახა ძოწენიძე. წლის საუკეთესო მწვრთნელად ფედერაციამ სცნო სულიკო ციცქიშვილი.

აკადემიური ნიჩბოსნობა. საუკეთესო სპორტსმენები: 1. კახა ელყანიშვილი და 2. ირაკლი ხარჩილავა. საუკეთესო მწვრთნელი — ოთარ ბერელიძე.

## თემა განსჯისათვის...

# ... და წამოდგება ქართული სპორტი

გასული წლის მიწურულს ცნობილი გახდა, რომ ქართველმა კომპოზიტორმა გია ყანჩელმა, რომელიც გერმანიაში მოღვაწეობს ამჟამად, გასმრჯელოდ მიღებული თანხებიდან გადასახადი საქართველოს ბიუჯეტში გადარიცხა, რაც, როგორც ჩვენი საგადასახო დეპარტამენტი იუწყება, სოლიდური თანხა ყოფილა. როგორც ირკვევა, ურჩი გადამხდელები თურმე საქართველოში კი არა, აქედან წასულნი, უცხოეთშიც ყოფილან, რადგან გია ყანჩელის საქციელი, როგორც პირველი შემთხვევა, ისე დაფიქსირდა. ამ ფაქტმა ძალაუნებურად გვიბიძგა ხმამაღლა განვაცხადოთ: კულტურის, ხელოვნებისა და ბიზნესმენების გარდა, დღეს უცხოეთში ხომ ბევრი სპორტსმენი თუ სპორტიის მუშაკია დასაქმებული და შემოსავალსაც სოლიდურს იღებს. უცხოეთში ძალიან მკაცრადაა ორგანიზებული საგადასახო საქმე, ალბათ, ასჯერ უკეთ, ვიდრე ჩვენთან და ეჭვიც არ გვეპარება, რომ იქ ჩვენებურებს შემოსავლებიდან გადასახადის დაფარვას არავინ პატიობს, მათ, ალბათ ამის სურვილიც კი არ გაუჩნდებათ, სისტემა ისეა დახვეწილი. მაგრამ როგორც ვნახეთ, თურმე, ქვეყნის მოქალაქეობა თუ გაქვს შენარჩუნებული, შეგიძლიია გადასახადი შენი ქვეყნის ბიუჯეტს შემატო, როგორც ეს გია ყანჩელმა გააკეთა.. ყოველ შემთხვევაში, ეს რომ უკანონობა იყოს, რისკზე არავინ წავიდოდა, უპირველესად იქ, გერმანიის ბანკში.

ახლა დავფიქრდეთ და დავითვალოთ რამდენი ჩვენი სპორტსმენი და მწვრთნელი მუშაობს უცხოეთში და რამდენია შემოსავალი, ცხადია, ფულადი ჯილდოებისა თუ პრემიებისს ჩათვლით. ალბათ მართლაც სოლიდური თანხა მოიყრის თავს. მაშ რატომ არ შეიძლება ამ საკითხის მოგვარება? ჩვენში ბიუჯეტის სიმწირემ ხომ ქართული სპორტიც გაალარიბა და გაკოტრების პირამდე მიიყვანა. იქნებ ასეც დასმულიყო საკითხი — ის შემოსავალი, რაც ლეგიონერთა და სპორტის სპეციალისტთა გადასახადიდან შემოვა საქართველოს ბიუჯეტში, გაიხარჯოს მხოლოდ სპორტზე თუნდაც იმ ფარგლებში, რაც ბიუჯეტმა ამ სფეროსთვის გამოყო ჩვენში. დარწმუნებული ვართ, ასე რომ ყოფილიყო, ბიუჯეტს დეპარტამენტის მილიონიანი ვალი აღარ გადმოჰყვებოდა 1999-ში. ამ საკითხის დადებითად გადაჭრის მეორე მხარეც აქვს — ყველა ათლეტი თუ მწვრთნელი ქართული სპორტის წიაღიდანაა გამოსული, მათზე ქვეყანას და ხალხს ამაგი აქვთ გაწეული, თუნდაც მატერიალური (სპორტი ხომ არამწარმოებლური სფეროა) და სწორედაც რომ უპრიანია, მათი შემოსავლების გადასახადი ისევ ქართულ სპორტს დაუბრუნდეს...

მიმომხილველი

## 49 წლის თბილისის «ბურევესტნიკი»

# „ბურევესტნიკი“ და ძია მიშა

„მადლობელი ვარ რომ შენ არსებობდი“ — დიდი მადლიერებითა და რომანტიკული შთაგონებით სავსე ეს მოკლე და ლაკონური ფრაზა, რომელიც ამოკვეთილია მოსკოვის ნოვო-დევიჩის სასაფლაოს ერთ-ერთი საფლავის ქვაზე და მეუღლე უძღვნის თავის გარდაცვლილ მეორე ნახევარს, თავად ჰქონდა ამოკითხული და საოცრად მოსწონდა თბილისის „ბურევესტნიკის“ უფროს მწვრთნელს მიხეილ კეკელიძეს, რომელსაც განგებამ არგუნა თავისი ცხოვრების განუყრელ და უახლოეს მეგობართან სულიკო თორთლაძესთან ერთად გამხდარიყო ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელი ქართული კალათბურთის ისტორიაში.

ძია მიშას (ასე ეძახდა მიხეილ კეკელიძეს ყველა მისი აღზრდილი, დიდი თუ პატარა, განურჩევლად ასაკისა და კალათბურთში მოპოვებული რეგალიებისა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებლი იმ დონეზე, რომ დიდი მეცნიერი კორნელი კეკელიძე თავის კათედრაზე ეპატიჟებოდა. ძია მიშას ღრმად ჰქონდა შესწავლილი ქართული ლიტერატურა და პოეზია, თვითონაც წერდა საკმაოდ კარგ ლექსებს (რომლებიც არასდროს არ გამოუქვეყნებია) და იყო სულით ხორცამდე რომანტიკოსი.

ასევე ლექსების დიდი ტრფიალი და რმომანტიკოსი იყო სულიკო თორთლაძე (მას თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ჰქონდა დამთარვრებული) რად ღირს თუნდაც მის მიერ დატოვებული ნაღდად რომანტიკული ანდერძი: „დამასაფლავეთ ღამით, სახლიდან გამომასვენეთ და სასაფლაოზე წამასვენეთ სანთლების შუქზე“.

ცხადია, აღმზრდელთა ეს რომანტიკული სული მეტნაკლებად გადადიოდა აღსაზრდელებშიც, რომლებიც ამ მართლაცდა ლეგენდარული მწვრთნელების ხელში სწავლობდნენ არა მოსაწყენ და დაშტამპულ, არამედ ამაღლებულ იმპროვიზებულ, ლამაზ და რომანტიკულ კალათბურთს. სწორედ ამიტომ უყვარდათ ასე ქართველ გულშემატკივრებს მიხეილ კეკელიძისა და სულიკო თორთლაძის მიერ აღზრდილი რომანტიკოსი კალათბურთელები, რომელთაგან განსაკუთრებით გამორჩეულებმა ქართული კალათბურთის რომანტიკული სული და დიდება მთელს ევროპასა და მსოფლიოში“ გასტყორცნეს, გააჯირითეს“.

... უკვე კარგა ხანია აღარ არიან ცოცხლებში არც ძია მიშა, არც მის მიერ შექმნილი თბილისის „ბურევესტნიკი“ და არც ამ გუნდის ბევრი წევრი. მე მინდა მივმართო მათ მადლობელი ვარ, რომ არსებობდი ჩემო ძია მიშა, მადლობელი ვარ, რომ არსებობდი ჩემო „ბურევესტნიკო“, მადლოებლი ვარ რომ არსებობდით იმიერში გადასულო ჩემო ბიჭებო. თქვენ ჩემთვის იმიერიცა ხართ და ამიერიც, რამეთუ „იმერიც კი, როცა გიყვარს ამიერია, რამდენი კუბოკაცი წევს და

იხ. მე-3 გვ.



მარცხნიდან: მიხეილ კეკელიძე, ილია ლეჟავა, სერგეი კოვალენკო, ვალერი ლომაძე, ზურგითაა ალექსანდრე გლურჯიძე

## საქმე — სიტყვიანი. სიტყვა — საქმიანი!

# თბილისის განათლების მესვეურები, მოზარდებს ფიზალზრდის გაკვეთილებს და სპორტს უბრუნებენ...

*მართლაც რომ ყველაფერს პატრონი უნდა, მით უფრო დღეს, როცა მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შესუსტებამ ბევრი რამ მიიყვანა გაუფასურებამდე. ზოგიერთმა სასწავლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდაც კი არ ჩათვალა საჭიროდ და არათუ იზრუნა პირობების შესაქმნელად, სასწავლო განრიგიდანაც კი თვითნებურად ამოიღო ეს საგანი. ასეთ დროს ზემოდან რეაგირება იქცევა ხოლმე წამლად და თბილისის განათლების მთავარი სამმართველო (უფროსი ზაზა მარუაშვილი) და ამავე სამმართველოს მოსწავლეთა საქალაქო ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანება (გენერალური დირექტორი ვაჟა ჭკუასელი), ენერგიულად შეუდგა დედაქალაქში ამ საზიანო სიმპტომების აღმოფხვრას. თუმცა, თბილისში არის რაიონი, სადაც თვითნებობა იმთავითვე ვერავინ გაბედა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თვით ამ რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ძირშივე აღმოფხვრა მოსწავლეთა ფიზაღზრდისადმი გულგრილი დამოკიდებულების მცდელობები. ისნის რაიონზე და აქაური განათლების განყოფილების გამგეზე, ქალბატონ ვენერა ჩიფჩიურზე მოგახსენებთ. ამ რაიონში, რომ ერთნაირ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა როგორც სასკოლო, ისე კლასგარეშე და სკოლისგარეშე ფიზიკურ აღზრდას, კრებსითად ერთი მკაფიო მაგალითიდაც დასტურდება — ისნის რაიონმა ბოლო წლებში ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა უძლიერესის სახელი თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადებში.*



თბილისის ისნის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ვენერა ჩიფჩიური და რაიონის სპორტსკოლის დირექტორი ომარ იოსელიანი.





სურათებზე: შარშან, ისინი — თბილისის განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი ზაზა მარუაშვილი (ზევით) და ამავე სამმართველოს მოსწავლეთა საქალაქო ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანების გენერალური დირექტორი ვაჟა ჭკუასელი სისტემატიურად სტუმრობდნენ მოსწავლეთა საქალაქო სპორტულ ღონისძიებებს.

ამ დღეებში ისნის რაიონის 163-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ავთანდილ ნადარაია) საცურაო აუზის გახსნაზე მიგვიწვიეს და ეს საუბარიც იმ დღეს შედგა ქალბატონ ***ვენერა ჩიფჩიურთან.***

— სკოლა, საერთოდ, მოწოდებულია შეასრულოს მოზარდი თაობის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად აღზრდის ამოცანა. ვერც კი წარმომიდგენია, როგორ უნდა აუარო გვერდი ამ პრინციპს და მხოლოდ ცალმხრივად წარმართო მოსწავლეთა აღზრდა — გვითხრა საუბრის დასაწყისში რესპოდენტმა.

● ***რაკი ასე ბრძანებთ, ეტყობა სკოლებზე კონტროლის სისტემაც გაქვთ შემუშავებული...***

— ძირითადი პასუხისმგებლობა სკოლების დირექტორებზე გვაქვს გადატანილი. ასე იყო ადრე და ასეა ახლაც. უბრალოდ, არავის მივეცით იმის უფლება, რომ მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას და მოზარდთა სპორტით გატაცებას ზერელედ მოკიდებოდა. ამ საქმეში გამოკვეთილი ფუნქცია აკისრია რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას, რომლის დირექტორია შესანიშნავი მუშაკი ომარ იოსელიანი. ჩვენთან თათბირი არ ჩაივლის, რომ ფიზაღზრდის საკითხს არ შევეხოთ, სკოლებში ვესწრებით ღია გაკვეთილებს, ვისმენთ დირექტორების ანგარიშებს.

● ***როცა მოვალეობა სიყვარულითაა გაჯერებული, ცხადია, შედეგები უკეთესია, გეტყობათ, სპორტი გიყვართ, საიდან მოდის ეს სიყვარული?***

— პირველ ყოვლისა, სკოლიდან ფიზაღზრდის შესანიშნავი მასწავლებელი გვყავდა 117-ე საშუალო სკოლაში — ბატონი ზურაბ ბუაძე, ერთხანს კალათბურთსაც ვთამაშობდი.

● ***დღევანდელი პირობებისთვის თითქმის დაუჯერებელი ფაქტის მოწმე გავხდით — აგერ, 163-ე სკოლაში, სადაც დღეს შევიკრიბეთ, საცურაო აუზი ამუშავდა გათბობით. როგორ მიაღწიეთ, იქნებ თქვენი მაგალითი სხვებსაც გამოადგეთ, თბილისში ხომ 30-ზე მეტი სასკოლო აუზია უმოქმედოდ...***

— ცხადია, აუზის ასამუშავებლად საკუთარი ხარჯები არ გაგვაჩნდა. ყველაფერი ასე მოხდა: თბილისის ახალმა მერმა, ბატონმა ვანო ზოდელავამ გადაწყვიტა შეხვედროდა ვაზისუბნის მოსახლეობას და შეკრების ადგილად 163-ე სკოლა შეირჩა. მაშინ დაისვა ამ სკოლის საცურაო აუზის ამუშავების საკითხი. ბატონი ვანო დაგვპირდა დახმარებას, 20 ათასი ლარი სასწრაფოდ გამოყო და ფაქტობრივად ორ თვეში მოგვარდა ყველაფერი.

● ***რაღა თქმა უნდა, ალბათ, ცურვა გაკვეთილების განრიგშიც შევა, როგორც ეს ადრე იყო...***

— აუცილებლად, მაგრამ იმუშავებს ცურვის შემსწავლელი ჯგუფებიც, აუზი მთელ დასახლებას მოემსახურება. საერთოდ, ამ სკოლის ბაზებს და აუზს ვაქცევთ ვაზისუბნის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრად.

● ***როგორც ვნახეთ, აუზი თბილწყალს ადგილობრივი საქვაბის რეკონსტრუქციის შედეგად იღებს, ავტონომიური გათბობის მოწესრიგება სხვა სკოლებშიც ხომ შეიძლება?***

— რა თქმა უნდა. მთავარია, სახსრები გამოინახოს. ძალიან სწრაფად, ნაკლები დანახარჯებით შეიძლება ამუშავდეს აგრეთვე 152-ე და 157-ე სკოლების აუზები, ამ სკოლებს აქვთ გათბობის საკუთარი სისტემა.

● ***თქვენ იბრძოლებთ ამ პრობლემის გადასაჭრელად?***

— აუცილებლად. კვლავაც გვაქვს თბილისის ხელმძღვანელების თანადგომის იმედი. მასობრივი სპორტის სიკეთე, მისი სოციალური როლი ხომ ყველას კარგად მოეხსენება.

წარმატებას გისურვებთ!

ესაუბრა
თ. თომაშვილი

## რატომ?!

წელი წელს მისდევს. პირველხარისხოვანი საჭადრაკო შეჯიბრებები, იანვარში რომ იწყება, მთელი სეზონის განმავლობაში ერთიმეორის მიყოლებით განუწყვეტლივ ტარდება: ვეიკ-ანზეე, ჰასტინგსი, ლინარესი, დორტმუნდი, მონტე-კარლო, დოს-ერნანასი, ხანდახან დიდი ნოვგოროდი, რუბინშტეინის მემორიალი, ამსტერდამი, მადრიდი, ტილბურგი და მრავალი სხვა.

თუ რატომ ჩამოვთვალეთ ეს შეჯიბრებები, ახლავე მოგახსენებთ: მასში ქართველ მოჭადრაკეებს, დიახ, ვაჟებზეა ლაპარაკი, არავინ იწვევს და ეს წლიდან წლამდე გრძელდება!

რატომ? არავინ იცის. გასაგებია, ყველა ამ შეჯიბრებას, მსოფლიო პირველობის ციკლისაგან განსხვავებით, რაც ფიდეს პრეროგატივაა, კერძო ინიციატორები თუ მეცენატები აწყობენ. და მაინც რას ერჩიან ისინი ქართველებს, რატომ განაწყენდა ყველა ერთად?

სულ სხვაა მსოფლიო ჩემპიონატის ციკლი. საქართველოს წამყვანმა მოჭადრაკემ ზურაბ აზმაიფარაშვილმა ჩინებულად ითამაშა მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში „ნოკაუტ-სისტემით“, ამავე შეჯიბრებაში მონაწილეობდა გია გიორგაძეც. 1999 წელს ასეთივეე, მეორე მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებენ ზურაბ აზმაიფარაშვილი და მაია ჩიბურდანიძე, შეიძლება გია გიორგაძისათვისაც გამონახოს ადგილი.

და მაინც — რატომ არა აქვს საერთაშორისო ტურნირების ორგანიზატორებისთვის არავითარი მნიშვნელობა მსოფლიო ჩემპიონატს?

## ვახტანგ მუსელიანი დემოკრატიული კავშირის საუკეთესო ათეულში

„ვინ მიგაჩნიათ 1998 წლის საუკეთესო საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწედ?“, — ასეთი კითხვით მიმართა 3500 რესპონდენტს ჩვენი ქვეყნის რეგიონებში საქართველოს დემოკრატიულმა კავშირმა და შავი ზღვის პრობლემების საერთაშორისო ფონდმა. საუკეთესო ათეულში დასახელებულია ყოფილი პარლამენტარი, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი და ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვახტანგ მუსელიანი (ათეულში იგი შეცდომით მოხსენიებულია მკლავჭიდელთა ნაკრების წევრად).

## მესაძირკვლენი

# შტრიხები რეზო მანჯავიძის რაინდული ცხოვრებიდან

ნებისმიერ საქმეს აუცილებლად ჰყავს თავისი მესაძირკვლე, რომლის გარჯა, რაც დრო გადის, მით უფრო ფასდება. ბევრი ჰყავს ასეთი პიონერი ქართულ სპორტს. ზოგიერთმა ცხოვრება მთლიანად საყვარელ საქმეს მიუძღვნა. საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის ისტორიის თავფურცელს ვინც გადაშლის, პირველსავე სტრიქონებში ამოიკითხავს რევაზ მანჯავიძის სახელს.

ჩვენში, სპორტის ამ ჭეშმარიტად რაინდული სახეობის შემობრძანება, XX საუკუნის 50-იან წლებში საბჭოთა კავშირის მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში ჩართვას უკავშირდება. ცხადია, გაცილებით ადრეც, სულ მცირე, ერთი ოლიმპიური ოთხწლეულის ციკლშიც შეიძლებოდა მისი დანერგვა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო და ამ ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირი მიიჩნევდა, რომ სპონტანური მზადება 1948 წლის თამაშებისთვის სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა. ორიენტირად 1952 წლის ოლიმპიადა იქცა, დაიწყეს სავარაუდო გათვლები. თანამედროვე ხუთჭიდი, რომელსაც ოფიცერთა ხუთჭიდადაც იცნობდნენ, იმ სპორტის სახეობათა ნუსხაში მოხვდა, სადაც ოლიმპიური მედალი იგეგმებოდა. წარმოიდგინეთ, ახალომგამოვლილ ქვეყანაში არც ისე იოლი საქმე გამოდგა ათიოდე კანდიდატის შერჩევა, რომელსაც ცურვაც ეცოდინებოდა, კარგი სროლაც და ფარიკაობაც, ცხენოსნობაშიც იქნებოდა გაწვრთნილი და მორბენლის გამძლეობაც ექნებოდა. ძიება მთელს საბჭოეთში დაიწყო. ზემოდან მითითებით ადგილებზე, რესპუბლიკებში საგანგებოდ გამოყოფილ სპეციალისტებს უნდა შეერჩიათ ღირსეულნი. არადა, დიდი დროც აღარ რჩებოდა მოსამზადებლად.

— გასინჯვა მხედრებით დაიწყეს. ყველაზე დიდი დრო ამ სახეობაში დაოსტატებას ესაჭიროება და უკვე, ასე ვთქვათ, მზა ცხენოსნებს ეძებდნენ. ყველა გაგვსინჯეს, ცხადია, ყურადღება ექცეოდა საერთო ფიზიკურ მომზადებას, აღნაგობასაც კი, უკეთესი იყო, თუკი კარგადაც ცურავდი. კომისიამ რევაზ მანჯავიძე შეარჩია — მაღალი, ტანადი, სუსტი, მაგრამ მკვრივი, კარგი მხედარი და ცურვის მცოდნე — იგონებს წარსულში ცნობილი ცხენოსანი ალექსანდრე დგებუაძე.

რეზოს, ერთხანს, თბილისში ამზადებდნენ სპეციალისტები კიდევ ოთხ სახეობაში, მერე შესარჩევ თუ სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრებაში გამოდიოდა, მისი მზარდი ოსტატობა აკმაყოფილებდა სპეციალისტებს და ჰელსინკის წინ ოლიმპიადამდე მთელი რვა თვე დაჰყო სსრ კავშირის ნაკრებთან...

პარალელურად საქართველოში გრძელდებოდა სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა შემოკრება და არ წყდებოდა რეგულარული ვარჯიშები. ჩვენში სპორტის ყოველი ახალი სახეობა მუდამ წინმსწრები ტემპით იკრებდა ძალას და გამონაკლისი არც თანამედროვე ხუთჭიდი გამოდგა. უკვე 1952 წელს, სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში საქართველოს ნაკრები, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ თბილისელები რევაზ მანჯავიძე, ანატოლი პევცოვი და ბათუმელი ივან მიხაილიცკი, სერიოზულ და ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. ჩვენმა ნაკრებმა ხსენებულ პირველობაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა მოსკოვის ნაკრების შემდეგ, რაშიაც უდიდესი წვლილი საქართველოს პირველმა ხუთჭიდელმა რეზო მანჯავიძემ შეიტანა. შემდეგ თანამედროვე ხუთჭიდის ქართველ ოსტატთა თაობებისთვის იყო ხალხთა სპარტაკიადები, სსრ კავშირის, ევროპის თუ მსოფლიო პირველობები, ოლიმპიური თამაშები, სადაც ჩვენები წარმატებით გამოდიოდნენ საბჭოეთის ნაკრებ გუნდებში. ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მით უფრო, ამ წერილს სულ სხვა მიზანი აქვს. ვიტყვით მხოლოდ ერთს — ყველა ეტაპზე, ყველა წარმატებაში, თაობათა მყარ მემკვიდრეობითობასა და ესტაფეტაში უდიდესია რევაზ მანჯავიძის პირადი წვლილი და დამსახურება. ახლა, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი გადასახედიდან მართლაც რომ შთამბეჭდავია განვლილი გზა და ღვაწლი, რომელიც ამ შესანიშნავმა პიროვნებამ, სპორტსმენმა, მწვრთნელმა და ორგანიზატორმა გასწია. სიტყვა პიროვნება შემთხვევით არ გვიხსენებია. რა დასამალია, ქართული სპორტი არაერთგზის დაზარალებულა და მტკივნეულადაც, პირადული ამბიციების გამო. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, მცდელობაც კი, რევაზ მანჯავიძეს საქმის საზიანოდ გადაედგა ნაბიჯი, თუმცა, მუდამ მტკიცე და შეუვალი, პრინციპული იყო, როცა ამას საერთო ინტერესები მოითხოვდა. არა, წარსულ დროში არ ვლაპარაკობთ, ასეა დღესაც, ოღონდ დღეს მოგეხსენებათ, ყველანი შებოჭილები ვართ, ქართულმა სპორტმა დაჰკარგა წინსვლის ტემპი, რაც სულაც არ არის სპორტის ფუნქციონერთა ბრალი. ცხოვრება დადგა ასეთი. და მაინც, თუ დღეს ვინმეს განსაკუთრებით სტკივა ქართული სპორტის უბედობა, მათ შორისაა რევაზ მანჯავიძე, კაცი, რომელმაც მთელი 55 წელიწადი შეალია საყვარელ საქმეს. დღეს იგი, როგორც ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი კვლავ ერთთავად იმაზე ზრუნავს, რითიმე უწამლოს პრობლემებს, წინაღუდგეს ნგრევას და როგორმე შევინარჩუნოთ ქვეყანაში ცხენოსნობა და თანამედროვე ხუთჭიდი.



1953 წელი. საქართველოს და სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი თანამედროვე ხუთჭიდელი, სპორტის ოსტატი რევაზ მანჯავიძე

...დავუბრუნდეთ 1952 წელს. ჰელსინკში, ოლიმპიურ თამაშებზე გასამგზავრებლად საბჭოთა ნაკრები მზად იყო, რჩეულთა შორის იყო რევაზ მანჯავიძე, უაღრესად დაძაბულ ბრძოლებში და თავდადებული შრომით რომ მოიპოვა თამაშებზე გამგზავრების უფლება. მაგრამ... ის იყო ოლიმპიადაზე მიმავალი დელეგაცია მატარებელში ჩასხდა, რომ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფუნქციონერები თანამედროვე ხუთჭიდელებთან გამოჩნდნენ და ისე, რომ ბოდიშიც არ მოუხდიათ, რევაზ მანჯავიძეს გამოუცხადეს, რომ იგი აღარ წავიდოდა ჰელსინკში. მის მაგივრად ვაგონში და ნაკრებში ადგილი დაიკავა ლოგოფეტმა, რომელიც იმ ხანებში ტრავმირებული იყო.

რა მოხდა?

რევაზ მანჯავიძემ ამ შეკითხვაზე მოკლედ გვიპასუხა: „არ ღირს ახლა ამაზე ლაპარაკი“. ამ პასუხშიც ხომ მისი პიროვნება მოსჩანს.

თენგიზ გაჩეჩილაძე

# მერაბ ჟორდანიას საახალწლო პრესკონფერენცია



ახალი წელიწადი ახალი იმედებით, ჩამთავრებული წელიწადის ღრმად დაწვრილებით გაცნობიერებით — ბანალური, ტრადიციული და ალბათ ჭეშმარიტი შეგრძნებაც, რაც ახლა აგრე რიგად ყველას გვეუფლება.

ყველა საქმეს კი თავისი საწინდარი უნდა და ჩვენი ეროვნული ნაკრების შარშანდელი უსუსურობის დასასრულის დასაწყისად გუნდში არაჯანსაღი სიტუაციის გამოჯანსაღება უნდა მივიჩნიოთ. საამისოდ სფფ-ს პრეზიდენტმა უკვე საკმაო მუშაობა ჩაატარა — ესაუბრა ნაკრების თავკაცს ვლადიმერ გუცაევს და მისგან „არაპროფესიონალებად", „არაპატრიოტებად", „ვარსკვლავის ავადმყოფობით დასნეულებულად" შერაცხულ ფეხბურთელებსაც. მერაბ ჟორდანიას თქმით, ეს პრობლემა უკვე მოხსნილია დღის წესრიგიდან და ყველანი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის იმედით არიან ანთებულნი. ახლა მხოლოდ ქეცბაია-გუცაევის (თუ გნებავთ გუცაევი-ქეცბაიას) კონფლიქტი დარჩა მოუგვარებელი, თუმცა სფფ-ს პრეზიდენტი ახლო მომავალში ინგლისში მოინახულებს თემურ ქეცბაიას და ამ კაზუსის უვნებელყოფასაც შეეცდება. მოკლედ, სფფ-ს პრეზიდენტმა დაგვაიმედა, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი ამიერიდან ერთიანი, ძმური ოჯახის პრინციპით ისულდგმულებს.

ჩვენი XI ეროვნული ჩემპიონატისთვის შემუშავდება ახალი დებულება. „მილანის" დირექტორატთან კი უკვე არსებობს შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ქართველი მწვრთნელები სტაჟირებას გაივლიან აპენინზე და მიიღებენ პროფესიონალი მწვრთნელის სერთიფიკატებს. საერთაშორისო მატჩებზე ჩვენში უბილეთოებს აღარ დაუშვებენ, სფფ გამოუშვებს წლიურ აბონემენტებს, რითაც გულშემატკივარს საქართველოს ნაკრების ყველა საშინაო თამაშზე დასწრების საშუალება ექნება.

გულშემატკივარს ეს უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე ბილეთების ყიდვა.

ფინანსების გარეშე ნაღდი საქმე ვერ გაკეთდება. სფფ-ს წინა ხელმძღვანელობის კაბალურ კონტრაქტს შვეიცარიულ ფირმა „ტელესპორტთან" გადაკეთება ან გაუქმება ესაჭიროება. მერაბ ჟორდანია პირადად შეხვედრია ამ ფირმის ხელმძღვანელობას, რომლებთაც სფფ-ს პრეზიდენტისთვის ჩვენთვის არცთუ ისე პესიმისტური პირობა მიუცია — ჩვენ ადრე სფფ-ს ყოფილ ხელმძღვანელობას ვუსმენდით, ახლა კი თქვენ მოგისმენთო. „ადიდასი" კი ალბათ აღარ შემოსავს ჩვენს ნაკრებს, რადგან იმ საშუამავლო ფირმას, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენი ნაკრებების „ადიდასის" ნაწარმით ეკიპირებას, ფაქსით უკმაყოფილება და სფფ-სთან თანამშრომლობის შეწყვეტის სურვილი უცნობებია ქართული ფეხბურთის ახალი მმართველებისთვის. ამის მიზეზი კი ერთია — მათ მიერ გამოგზავნილი „ადიდასის" ნაწარმის დიდი ნაწილი იმის მაგივრად, რომ ნაკრებებს დარიგებოდა, უბრალოდ, იყიდებოდა.

უმთავრესი სატკივარი კი ჩვენთვის მაინც ეროვნული ნაკრებია. ჟორდანიას აზრით, აქ უფრო ფეხბურთელებმა უნდა თქვან გადამწყვეტი, მთავარი სიტყვა. და მართლაც, ვლადიმერ გუცაევი და საერთოდ მწვრთნელები, ფეხბურთელების მაგივრად მინდორზე სისხლსა და ოფლს ვერ დაღვრიან. მაგრამ ისიც კია, რომ ეროვნული (!) ნაკრების თავკაცს ფეხბურთელებთან ნორმალური ურთიერთობებისთვის შუამავლები არ უნდა სჭირდებოდეს.

დათო თავართქილაძე

## ზოგი რამ გულშემატკივრებსაც ვკითხოთ

*რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ვიაჩესლავ კოლოსკოვის ხელახლა არჩევამ და ამასთან დაკავშირებით ნაკრების მთავარ მწვრთნელ ანატოლი ბიშოვეცის დაუყოვნებლივმა გადაყენებამ გულშემატკივრების არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია*

— აი, ბოლოს და ბოლოს, კოლოსკოვმა „შეჭამა" ბიშოვეცი. ისე რომ, დაიწყება სპეკულაციის ახალი სეზონი ნაკრების ახალი მწვრთნელის დანიშვნის თაობაზე.

— ბიშოვეცის მოხსნა კოლოსკოვმა მხოლოდ ახლა მოახერხა, ნაკრები ზედიზედ ექვსჯერ რომ დამარცხდა. გაისად, როცა ნაკრები გამარჯვებებს მოიპოვებს, ამის გაკეთება გაცილებით უფრო ძნელი იქნებოდა. კვლავ იწყება იგნატიევისებური სტაგნაცია... ნუთუ რუსეთი კვლავ გაუშვებს ხელიდან ნორმალური ნაკრების შექმნის შესაძლებლობას? და ამას ჩვენ თვითონ გაჭაკეთებთ? კამპანიამ ბიშოვეცის ნაკრებში მიწვევის შესახებ „ზენიტს" მედლები დააკარგვინა, თვით ანატოლი ფედოროვიჩი ჩვარივით გამოიყენეს და მოისროლეს.

— ძალიან კარგია, რომ ბიშოვეცი მოხსნეს. აქვე გეტყვით, ნახევარი წლის წინათ მე თვითონ ვიყავი მისი ნაკრების მწვრთნელად მოწვევის დიდი მომხრე. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მან ყველა მატჩი წააგო, უფრო უარესია თამაშის მისი ტაქტიკა, რომელიც დაცვაზეა აგებული... ისლანდიასთან წაგების შემდეგ ბიშოვეცი თვით უნდა გადამდგარიყო. ეს არ გააკეთა და სხვებმა გაანთავისუფლეს, რათა ვინმე უკეთესი მოიწვიონ. ჩვენც იგივე მოგვდის, რაც უნგრეთში, მწვრთნელი მწვრთნელს ცვლის, შედეგი კი ნულს უდრის.

— მართლდება ყველაზე უარესი მოლოდინი. კოლოსკოვმა კვლავ დაგვიმტკიცა, რომ ფეხბურთი მისთვის მხოლოდ კარგი შემოსავლის წყარო და საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილების საშუალებაა. მარცხი მთლიანად მწვრთნელს მიაწერეს, ფედერაცია კვლავ პირწმინდად დარჩა. ბიშოვეცი ისეთ პირობებში აღმოჩნდა, რომ ვერაფერს გახდებოდა. ის, რომ მან დაცვა აირჩია, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო — როცა დრო არა გაქვს, გუნდს შეტევით სტილს ვერ შეუმუშავებ.

— არ მეგონა, რომ ბიშოვეცი ასე მალე გამოეთხოვებოდა ნაკრებს. კოლოსკოვი ცდილობს მისი შემცვლელის მონახვას, მაგრამ რაში სჭირდება იგი, ანდა, რაში სჭირდება საერთოდ მთელი ეს ჩვენი ფეხბურთი.

— დაიწყებენ ახალი, ახალგაზრდა მწვრთნელის ძიებას. მას ხომ შედეგებს უცებ არავინ მოსთხოვს, შესარჩევი ტურნირი უკვე წაგებულია. ბიშოვეცი კი ის კაცია, რომელზეც იტყვიან: „შეუცვლელი ადამიანი არ არსებობს".

— ჩემი აზრით, არც ერთი კარგი მწვრთნელი და წესიერი ადამიანი კოლოსკოვთან სამუშაოდ არ წავა. ერთი სიტყვით, შეგვიძლია დავმარხოთ ჩვენი ნაკრები. ამინ.

— ორ კურდღელს ნუ გამოეკიდები. ბიშოვეცი ალექსანდრე ნეველი გახდებოდა, მაგრამ თავისმა უდიდესმა ამბიციამ სძლია, დაჰკარგა ნაღდი შესაძლებლობა რომ ამ 15 წლის განმავლობაში პირველად სანკტპეტერბურგის „ზენიტისათვის" ოქროს მედლები მოეპოვებინა. და თანაც ისტორიაში შევიდა, როგორც რუსეთის ნაკრების ყველა დროის ყველაზე უფრო მარცხიანი მწვრთნელი, დიახ, სამუდამოდ. მის მაგალითზე სხვებმა ჭკუა უნდა ისწავლონ. ისე კი, ადამიანური გაგებით, ანატოლი ფედოროვიჩი ნამდვილად მეცოდება.

# „ბურევესტნიკი" და ძია მიშა

*(პირველი გვერდიდან)*

ცარიელია" (თეიმურაზ ლანჩავა).

ყველაფერი კი ამ 40 წლის წინ დაიწყო...

1958 წლის ზაფხული. თბილისი. საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადა. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა (რომლის მთავარი მწვრთნელი იყო მიხეილ კეკელიძე და რომლის ძირითად ხუთეულში მეც ვთამაშობდი) მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონობა და ძია მიშამ მიმიწვია თბილისის „ბურევესტნიკში", რომელიც სწორედ იმ წელიწადს გადავიდა „ა" კლასის უმაღლეს ჯგუფში. მე კი უკვე ჩარიცხული ვიყავი თბილისის „დინამოს" გუნდში. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, რჩევა ვკითხე ჩემს გამზრდელ სულიკო თორთლაძეს, რომელმაც მირჩია „ბურევესტნიკი".

როგორც დღეს ზოგიერთები მეუბნებიან, ამით ერთგვარად შეიზღუდა ჩემი სპორტული კარიერა და ეკონომიურადაც ბევრი რამ დავკარგე, მაგრამ მე არაფერზე გული არ მწყდება, რადგან „ბურევესტნიკში" გატარებული ათი წელი — ეს არის ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები, როდესაც გავხდი მეგობარი „ბურევესტნიკის" უფროსი თაობის ბრწყინვალე კალათბურთელებისა, რომელთა შორის მრავალი აღიარებული იყო ქალაქის თვალსაჩინო კოლორიტად. მე დღესაც ჩემი „ბურევესტნიკელი" მეგობრებით ვცხოვრობ და სწორედ ისინი მიმსუბუქებენ გაუსაძლის ცხოვრებას.

რაც მთავარია, მე ათი წელიწადი ვითამაშე თბილისის „ბურევესტნიკში", სადაც ძია მიშა კალათბურთთან ერთად გვასწავლიდა და ყოველდღიურად გვმუხტავდა სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით, პატიოსნებითა და ერთგულებით, დასახული მიზნის მიღწევისა და ინტელექტუალური ცოდნის შეძენის წყურვილით. ეს მუხტი კი ისეთი ძალისა გამოდგა, რომ მთელი ცხოვრება გამოგვყვა საგზლად და ალბათ გვეყოფა კუბოს ფიცრამდე.

გვქონდა სპორტული წარმატებებიც. 1962-1964 და 1966 წწ. სამჯერ გავხდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები სტუდენტთა შორის და მოვიპოვეთ ოქროს მედლები. უპირველესი მაინც ის იყო, რომ ჩვენ ვთამაშობდით რა „ა" კლასის უმაღლეს ლიგაში, ვაჟკაცურად ვებრძოდით საბჭოთა კალათბურთის აღიარებულ გრანდებს და ყველას გასაკვირად, ხშირად კიდეც ვამარცხებდით. იმ 10 წლის განმავლობაში გვართმევდნენ საუკეთესო მოთამაშეებს და გადაჰყავდათ თბილისის „დინამოში" (თუ გინდოდა ხელფასი, ბინა და მანქანა, ამაზე უნდა წასულიყავი (არც ერთი მანქანა და არც ერთი ბინა არც ერთ „ბურევესტნიკელს" არ მიუღია არასოდეს), რის გამოც სისხლისგან დაცლილი „ბურევესტნიკი" ხშირად ტოვებდა უმაღლეს ლიგას, მაგრამ მაინც არ ნებდებოდა, ძია მიშას ჯადოსნური ძალა ფენიქსისებრ წამოდგებოდა და კვლავ უბრუნდებოდა უმაღლეს ლიგას და ხშირად იმარჯვებდა უთანასწორო ბრძოლებში.

მახსენდება ისრაელის ერთ-ერთ ქალაქში სამშობლოსათვის დაღუპული მებრძოლების საფლავებზე გაკეთებული საერთო წარწერა: „ისინი არწივებზე მაღლა დაფრინავდნენ და ლომებს ებრძოდნენ".

აქ გავაკეთებ მოკლე ლიტერატურულ გადახვევასაც. „ბურევესტნიკი" ხომ თავისუფლების მოყვარული ღია ზღვების საოცარი ფრინველია, რომელიც გამოირჩევა გრიგალისებური ფრენით, რისთვისაც მას „ქარიშხალასაც" კი უწოდებენ და ქართულად ჩვენი გუნდი ხშირად „ქარიშხალადაც" მოიხსენიებოდა. თბილისის „ბურევესტნიკის" ანუ „ქარიშხალას" თამაში და განსაკუთრებით მისი პირველი შეტევები, ხშირად მართლაც იყო ქარიშხლისებური და მოწინააღმდეგის გამაოგნებელი.



1961 წ. თბილისის „ბურევესტნიკი". მარცხნიდან: თამაზ კაკაურიძე, ალექს. გლურჯიძე, გალ. ლომაძე, ანზორ საკანდელიძე, თემურ ქობაჩიშვილი, ანტონ კაზანჯიანი, თამაზ დონაძე, ილია ლეჟავა, რამაზ მანაგაძე

დიახ, იყო მომენტები, როცა „ბურევესტნიკელები" მართლაც „ქარიშხლისებრ" კალათბურთს თამაშობდნენ, არწივებზე მაღლა დაფრინავდნენ, ლომებს ებრძოდნენ და ხშირად იმარჯვებდნენ. ერთ ერთ ასეთ ისტორიულ გამარჯვებაზე მინდა გიამბოთ. რიგაში ვეთამაშებით ევროპის ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელსა და საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონს რიგის არმიელებს. კაცს მარტო გვარების ჩამოთვლა დათრგუნავდა — საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი ვალდმანისი, ნაკრების წევრები კრუმინში, მუჟნიეკსი, კალნინში და სხვები. ჩვენგან ანზორ ლეჟავა და ლევან მოსეშვილი ახალი გადაყვანილები არიან თბილისის „დინამოში". ფაქტობრივად, ჩვენ ტანმაღალი ცენტრალური მოთამაშე, საერთოდ არ გვყავს. ალბათ ამისი შერცხვათ რიგელებს და პირველ ტაიმში მათ გიგანტს კრუმინშს ტანთ საერთოდ არ გაუხდია. გავმართეთ უშედავათო ბრძოლა და ყველას გასაკვირად, პირველი ტაიმი ათ ქულამდე მოვუგეთ. მე-2 ტაიმში სასწრაფოდ გახადეს და მოედანზე გამოიყვანეს კრუმინში, მაგრამ რიგელებს უკვე ამანაც ვეღარ უშველა და ისინი სენსაციურად დავამარცხეთ საკუთარ მოედანზე. ყველამ სასწაულად ითამაშა და თავის თავს ორჯერ აჯობა (გვქონდა ზოგჯერ ასეთი სასწაული აღმაფრენები). მეც გამიმართლა და 25 ქულა შევძინე გუნდს. ახლაც თვალწინ მიდგას რიგელთა სახელოვანი მწვრთნელის ალექსანდრე გომელსკის შეშლილი სახე, რომელიც გაკვირვებით მხრებს იჩეჩდა, ხელებს შლიდა და ვერაფრით ვერ გაეგო რა მოხდა, როგორ შეიძლებოდა საკუთარ მოედანზე ჩვენთან ასე სამარცხვინოდ წაეგო ევროპის საუკეთესო საკლუბო გუნდს.

საოცარი იყო ძია მიშას სიყვარული თბილისის „ბურევესტნიკისადმი", უვლიდა და ელოლიავებოდა, როგორც საკუთარ შვილს. ძია მიშას „ბურევესტნიკი" არასდროს არ მიუტოვებია, მიუხედავად იმისა, რომ როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელს მას ხშირად იწვევდნენ საქართველოს ნაკრები გუნდების (როგორც მოსწავლეთა ისე დიდების) მთავარ მწვრთნელად. მას რამდენჯერმე შესთავაზეს თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელობა, მაგრამ ყოველთვის უარს ამბობდა, რადგან ვერ ტოვებდა თავის საყვარელ პირმშოს — თბილისის „ბურევესტნიკს".

სამწუხაროდ, იმდროინდელ ელიტურ სპორტულ ოფიციოზში ბლომად ჰყავდა მტერი, რომლებიც თვლიდნენ, რომ საქართველოს უმაღლეს ლიგაში მეორე გუნდი არ სჭირდებოდა და ყველაფერს აკეთებდნენ თბილისის „ბურევესტნიკის" დასაშლელად. რამდენჯერმე დაშალეს კიდეც ისე უიმედოდ, რომ არავის ეგონა „ბერევესტნიკი" უმაღლეს ლიგაში კიდევ თუ ოდესმე დაბრუნდებოდა, ჩვენ კი ამას რაღაც სასწაულად მაინც ვახერხებდით. „ბურევესტნიკის" თითოეული დაშლა კი თითო სიკვდილი იყო ძია მიშასთვის, რომელიც ცრემლსა და ბოღმას გულში იმარხავდა. უნებურად მახსენდება ნაწყვეტი ერთი ქართველი პოეტის ლექსიდან, რომლის სათაურია „მოძმის ღალატი".

„ვიცოდი მტერი მეხვია,
გულს ვუთხარ: „ლვივის ქარიო",
ცრემლებით ღაწვის ჩამდუღრას
არცა ვინ შევასწარიო".

განსაკუთრებით ტრაგიკული იყო თბილისის „ბურევესტნიკის" ბოლო გავარდნა უმაღლესი ლიგიდან. მთელი ტურნირის მანძილზე გუნდს იოტისოდენა დახმარებაც კი არავინ გაუწია, პირიქით — ვისაც, სადაც და როგორც შეეძლო, ყველამ წიხლი წაჰკრა. გამწარებული და მავანთა მიერ განწირული „ბურევესტნიკი" კი მართლაც რომ ლომივით იბრძოდა ბოლომდე. ალბათ, ბევრს ახსოვს საბედისწერო სეზონში თითო ქულით საცოდავად წაგებული 8 მატჩი, მათ შორის, ისეთ გრანდებთან, როგორიც მაშინ იყვნენ ცსკა და კაუნასის „ჟალგირისი".

საბოლოოდ „ბურევესტნიკს" ზუსტად ეს ერთი ქულა აღარ ეყო, დატოვა უმაღლესი ლიგა და... გაიხარა საქართველოში ზოგიერთმა ვაიპატრიოტმა ქართველმა:

ეს აშკარად გამოხატული ღალატი, ბოლო გესლიანი ისარი გამოდგა, რომელსაც ვეღარ გაუძლო ძია მიშამ. თბილისის „ბურევესტნიკის" მოღალატურად გავარდნის შემდეგ ის მალე ლოგინად ჩავარდა, შემდეგ მძიმე სენმაც დარია ხელი და 1972 წელს გარდაიცვალა.

კვლავ მახსენდება ნაწყვეტი ზემოთ ხსენებული ლექსიდან:

„ვით მეთქვა მოძმის
ღალატი, –
არ გაგონილა იგავი,
შენ ვიდრე ისარს
მტყორცნიდი,
მე უკვე მკვდარი ვიყავი".

გარდაიცვალა ძია მიშა და საბოლოოდ გარდაიცვალა თბილისის „ბურევესტნიკიც". ეს სიმბოლურია, რამეთუ ძია მიშა თავად იყო მთელი „ბურევესტნიკი" და „ბურევესტნიკი" კი — ძია მიშა. ეს ორი ცნება ურთმანეთოდ წარმოუდგენელი იყო. ძია მიშას გარდა, არავის არ შეეძლო თბილისის „ბურევესტნიკი" კვლავ დაებრუნებინა უმაღლეს ლიგაში და აკი ვერც ვერავინ ვერ შეძლო.

თავისი გარდაცვალებით თბილისის „ბურევესტნიკმა" ერთხელ კიდევ (სამწუხაროდ, უკანასკნელად) ქართულ კალათბურთს გადაუსხა ნაღდი, ჯიგრიანი ქართული სისხლი (თითქმის ნახევარი გუნდი გადაიყვანეს თბილისის „დინამოში") და ვალმოხდილი, მაგრამ უზომოდ გულმოკლული გადავიდა ისტორიაში..

დიახ, გარდაიცვალა თბილისის „ბურევესტნიკი" და ქართულ კალათბურთს საბოლოოდ დაეშრიტა თავისი მასაზრდოებელი ძირითადი წყარო, რის შედეგადაც დაიწყო ხანგრძლივი კრიზისი, შემდეგში ნამდვილ კატასტროფაში რომ გადაიზარდა. აღარ მოდიოდა ცვლა თბილისის „დინამოსათვის" და „ბურევესტნიკის" უდიდესი დამსახურება ქართულ კალათბურთში სწორედ მაშინ გამოჩნდა. ჩვენი ბრიყვი სპორტული ოფიციოზები მხოლოდ მაშინღა მიხვდნენ, რომ თბილისის „ბურევესტნიკის" დასამარებით მათ ფაქტიურად დაასამარეს ქართული კალათბურთი. კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლისათვის მათ სასწრაფოდ უხმეს უცხო ლეგიონერებს, მაგრამ ამან რა სიკეთე მოუტანა ქართულ კალათბურთს, ამის მომსწრე ყველა ვიყავით.

... 25 წელზე მეტია აღარ არსებობს ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ამოუცნობი ფენომენი თბილისის „ბურევესტნიკი", რომელმაც 15 წელიწადიც კი ვერ იკიაფა ჩვენი კალათბურთის ცის კაბადონზე, მაგრამ მართლაც დატოვა განუმეორებელი „კვალი ნათელი", რომელსაც დავიწყება ნამდვილად არ ეგების.

აქვე მინდა გავიხსენო ის კალათბურთელები, რომლებმაც თავი არ დაზოგეს და საკუთარი სისხლითა და ოფლით დაწერეს თბილისის „ბურევესტნიკის" დაუვიწყარი ისტორია. ასეთი კი ძირითადად იყო სამი თაობა, რომელთა მხრებზე ძირითადად გადაიარა მთელმა სიმძიმემ. პირველ თაობაში იყვნენ: გურამ მინაშვილი, ანზორ ლეჟავა, მარლენ კეკელია, გია მიქაძე, თამაზ ტოგონიძე, ასტამურ აჩბა, თამაზ კაკაურიძე, საურმაგ თურმანიძე, ერიკ ქაშაკაშვილი, ავთანდილ ლომსაძე და კარლო ადეიშვილი.

მეორე თაობაში: ვალერი ლომაძე, ლევან მოსეშვილი, ალექსანდრე გლურჯიძე, შურა ოდიშვილი, ანტონ კაზანჯიანი, ილია ლეჟავა, რამაზ მანაგაძე, თამაზ დონაძე, ანზორ საკანდელიძე, გიორგი ჯულელი. მურმან ხაჭაპურიძე, ჯონდო ანთაძე, თეიმურაზ კობაჩიშვილი. მესამე თაობაში: ლევან ჩხიკვაძე, თამაზ ჩიხლაძე, გივი ბიჭიაშვილი, სერგო კოვალენკო, იური პულავსკი, გუჯა მაისურაძე, იური ძიძიგური, გიორგი ქათამაძე, გარიკ არუთინოვი და ალექსანდრე მშვენიერაძე.

გარდა ამისა, სხვადასხვა დროს გუნდში თამაშობდნენ: თენგიზ ომიაძე, კოტე მესხიშვილი, ჯუმბერ გეგუჩაძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, ჯამლეთ ნიჟარაძე, ცეზარ ჩოგოვაძე, სერგო გუბა და სხვა.

აქვე მინდა დიდი გულისტკივილით აღვნიშნო, რომ თბილისის „ბურევესტნიკმა" წლების განმავლობაში დიდი დანაკლისი განიცადა. დღეს ცოცხლებში აღარ არიან: ერიკ ქაშაკაშვილი, შურა ოდიშვილი, თენგიზ ომიაძე, ჯამლეთ ნიჟარაძე, ცეზარ ჩოგოვაძე, თამაზ ტოგონიძე, ასტამურ აჩბა, თამაზ დონაძე, ალექსანდრე გლურჯიძე, იური ძიძიგური, ლევან ჩხიკვაძე და ანზორ ლეჟავა.

ვამთავრებ რა ამ წერილს, საქართველოს სიყვარულსა და დიდებაში ვალმოხდილ თბილისის „ბურევესტნიკსა" და ძია მიშას ყველას სახელით მინდა ერთხელ კიდევ ვუთხრა: მადლობელი ვარ, ძია მიშა, რომ შენ არსებობდი. მადლობელი ვარ, თბილისის „ბურევესტნიკო", რომ შენ არსებობდი.

ანზორ საკანდელიძე

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# რობერტო ბაჯო, ანუ „ინტერის“ თავისებური სტერეოტიპი

შეიძლება ცოტა უტრირებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ ნოემბერ-დეკემბერში უკვე არაერთგზის წავაწყდით ასეთ სურათს: „ინტერი“, გნებავთ რონალდოს, გნებავთ სამორანოსა და ჯორკაეფის მცდელობის მიუხედავად, ვერაფერს უხერხებს თავის არცთუ ისე ძლიერ მეტოქეს. ასე არ უნდაო



და მწვრთნელს მეორე ტაიმში მინდორზე შეჰყავს რობერტო ბაჯო. გარდატეხა ხდება და მატჩი „ინტერის“ გამარჯვებით მთავრდება! ამის კლასიკური ილუსტრაცია იყო ბოლო, საშობაო არდადეგების წინ, „ინტერის“ შეხვედრა მილანში „რომასთან“. „რომა“ დაწინაურდა — 1-0. როგორც კი მეორე ტაიმში ბაჯო მინდორზე გამოვიდა, გოლიც გაიტანა, საგოლე გადაცემაც შეძლო, მეტოქის მცველს, რომელიც ძალიან უხეშად ეთამაშა, მინდორი დაატოვებინა. საბოლოოდ კი, „ინტერმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 4-1! ყოველივე ამის შემდეგ დაისვა კითხვა: რას აკეთებდა „ინტერის“ ამდენი განთქმული მოთამაშე ბაჯოს გამოჩენამდე? ანდა, თუკი ბაჯო, სულ რაღაც 10 წუთში ამდენს აკეთებს, რატომ არ მონაწილეობს იგი მატჩში თავიდან ბოლომდე? რა თქმა უნდა, რობერტო ბაჯო დიდი ტალანტია და შეუძლია ზოგიერთი მატჩი მარტოდმარტომ მოიგოს.

ყველაზე უკეთ ამ კითხვაზე, იტალიელი ჟურნალისტების აზრით, თვით ბაჯო უპასუხებდა და ისინი ეწვივნენ კიდეც თავისებური სტერეოტიპის შემქმნელს.

— რა გითხრათ, უკვე იმ ასაკისა აღარა ვარ, მწვრთნელის აზრით, 90 წუთს ვერ გავუძლებ.

● *დიახ, მაგრამ განა თქვენც ასე ფიქრობთ?*

— საერთოდ, ჩემი ასაკი და ის, რომ მალე ვილლები, მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. ახლა მე, მიუხედავად იმისა, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ დაშავებული ვიყავი, თავისუფლად შემიძლია მთელი მატჩის თამაში. ლუჩესკუ მზად არის ამის შესაძლებლობა მომცეს, მაგრამ ჯერ მას ექიმების აზრის გაგება სურს. ისინი კი არავითარ გარანტიას არ აძლევენ. მწვრთნელი მარწმუნებს, რომ უნდა მაცალოს, რათა მთლიანად აღვიდგინო საბრძოლო მზადყოფნა, შემდეგ კი, მეტ შესაძლებლობებს მომცემს.

● *და „ჭურვის მიმწოდებლის“ როლს მოგანიჭებთ?*

— როცა ლუჩესკუ გუნდში მოვიდა, მკითხა, რომელი ადგილი მიმაჩნია გუნდში ჩემთვის ყველაზე უფრო შესაფერისად. ასე ვუპასუხე — თავდასხმაში, ოღონდ რამდენადმე უკან, შემტევთა დასახმარებლად. ჩემი სიმაღლისა და აღნაგობის ადამიანს შეტევის წინა ხაზზე რა საქმე აქვს, იქ გაცილებით უკეთ მოქმედებენ ფიზიკურად ძლიერი ფორვარდები.

● *მაშ, რას იტყოდით პრეზიდენტ მორატის გეგმაზე — თქვენ რონალდოსთან ერთად წყვილი უნდა შეგედგინათ.*

— მე და რონალდო სულ სხვადასხვანაირები ვართ და ამიტომ ერთმანეთს ჩინებულად ვავსებთ. იგი კარგად ირჩევს პოზიციას, შეუძლია კარში მოულოდნელად დაარტყას, მაგრამ მწვავე გადაცემა სჭირდება. მე კი ის კაცი ვარ, ეს მწვავე გადაცემა რომ შევძლო.

● *თქვენ ხომ გოლებიც გაგაქვთ. სტატისტიკოსებმა გამოთვალეს, რომ საშუალოდ ყოველ 100 წუთში გაგაქვთ გოლი. ასეთი შედეგიანობა, ვისაც გნებავთ, იმას შეშურდებოდა.*

— ჯერ არა ვარ სნაიპერთა სიაში. ამით ყველაფერია ნათქვამი.

● *მორატიმ როგორღაც „ორი მოთამაშე ერთ პიროვნებაში“ გიწოდათ. პრესას მოეწონა ეს მეტსახელი. როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობდა „ინტერის“ პრეზიდენტი?*

— იმას, რომ წინა ფორვარდის თვისებებიც მაქვს და უკანდახეულისაც. მაგრამ უკვე გითხარით, რომ დაბალი ტანის გამო ახოვანი პარტნიორების ზურგს უკან მირჩევნია თამაში. სწორედ აქ არის ჩემთვის შესაფერისი ადგილი, და მეტი შესაძლებლობაც, რომ მცველებს ჩემი არსებობა დაავიწყდეთ.

● *ალესანდრო ალტობელიმ ჟურნალისტებთან საუბარში გამოთქვა აზრი, რომ თქვენი მზადყოფნა საუკეთესოა და იგი ჯერ თქვენ მიგიჩნდათ ადგილს ძირითად შემადგენლობაში, შემდეგ კი იფიქრებდა, კიდევ რომელი 10 მოთამაშე გამოეყვანა მინდორზე.*

— სანდროს მადლობა უნდა ვუთხრა, ასე რომ სწამს ჩემი. მან მართლაც შეიძლება მშვენივრად იგრძნოს ჩემი ახლანდელი მდგომარეობა. ჩემი ხნის რომ იყო, მასაც „სათადარიგო მოთამაშის“ მდგომარეობა ჰქონდა — თამაშის დამთავრებამდე 10-15 წუთით ადრე გამოჰყავდათ მინდორზე, თუმცა, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თუ რას აკეთებდა იგი, მეტის მიღწევა შეეძლო.

● *ეს თქვენც შეგეხებათ. ის, რაც თქვენ ბოლო ტურში „რომასთან“ გააკეთეთ, საოცრებათა რიცხვს მიეკუთვნება.*

— არა, ასე არ ვფიქრობ. „რომასთან“ გამარჯვება მთელმა გუნდმა მოიპოვა. მე კი, უბრალოდ, ის გავაკეთე, რაც შემეძლო.

● *ეტყობა, ლუჩესკუს მოსვლასთან დაკავშირებით „ინტერმა“ მკვეთრად გაიუმჯობესა თამაში, ამის იმედი კი თითქმის აღარც იყო.*

— წინ ჯერ ბევრი სამუშაოა. ბევრი ნაკლია დასაძლევი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოთამაშეთა ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება. ძალის დიდი მარაგი უნდა გქონდეს, რომ მთელი მატჩი იმოძრაო, მაშინაც კი, როცა ბურთი არა გაქვს. ეს ხომ მთავარია თანამედროვე ფეხბურთში. მადლობა უნდა ვუთხრა სიმონის. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ მის როლს „ინტერის“ ახლანდელ მიღწევებში სათანადოდ არ აფასებენ. არსებითად თუ ვიმსჯელებთ, ლუჩესკუმ ჯერ ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო.

● *მორატიც ასე თვლის?*

— რა თქმა უნდა. გაინტერესებთ, რა უთხრა მან სიმონის გამოთხოვებისას? „ჯიჯი, დიდი მწვრთნელი ხარ, მაგრამ, ჩანს, „ინტერი“ საშენო გუნდი არ არის, და, ამის მიუხედავად, გაწეული მუშაობისათვის მაინც მადლობა უნდა გითხრა“.

● *მთელი გუნდი ხვდება დღესასწაულს კარგი განწყობილებით?*

— სამი ქულა, რომელიც „რომასთან“ მოვიპოვეთ, უპირველეს ყოვლისა, მორალური თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი და ამავე დროს სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესების მიხედვითაც. ჩვენ ყველას ახლა ამაღლებული განწყობილება გვაქვს.

● *და ახალ გეგმებსაც აწყობთ.*

— არა, ჩვენი გეგმები სეზონის დასაწყისიდან არ შეცვლილა. ისევე, როგორც მაშინ, ახლაც შევეცდებით ყველაფრის მოგებას, რასაც შევძლებთ. მით უმეტეს, რომ გამარჯვების შესაძლებლობა ყველა ფრონტზე ჯერ კიდევ გვაქვს.

● *თქვენი პირადი გეგმები?*

— უახლოეს ორ კვირას ცოლსა და 8 წლის ქალიშვილ ვალენტინასთან ერთად გავატარებ. მთელი წლის გეგმა? ასე შორეულ გეგმებს არასოდეს ვადგენ. თუმცა, მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ჯერ არ მოვხუცებულვარ, მხოლოდ 31 წლისა ვარ. არ ვიცი დიდ ფეხბურთში კიდევ რამდენი. წლის გატარება მელის, მაგრამ შევეცდები „გამოსათხოვარი აკორდი“ ლამაზი და ქღერადი გამომივიდეს.

● *და ამასთან იტალიის ნაკრებში ადგილის შენარჩუნებას შეეცდებით?*

— რატომაც არა! ამ საკითხზე ძოფთან მქონდა საუბარი. მან მითხრა: „ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ითამაშებ იტალიის ჩემპიონატში“. ისე რომ, ყველაფერი ჩემს ხელშია.

## ბრაზილიაში საუკეთესოა... პარაგვაელი

1998 წლის ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ ქვეყნის ჩემპიონ „კორინთიანსის“ და პარაგვაის ნაკრების მცველი კარლოს გამარა დაასახელეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამოკითხვაში ჟურნალისტებთან ერთად სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ და მთლიანობაში მათი აზრები იდენტური აღმოჩნდა. კიდევ ერთი



უფრო საინტერესო დეტალი — კარლოს გამარას საფრანგეთი-98-ზე ჩატარებულ ოთხ შეხვედრაში (პარაგვაის ნაკრებმა მონდიალზე მხოლოდ ოთხი მატჩი ჩაატარა) ერთხელაც არ დაურღვევია თამაშის წესები და ფიფა/მასტერკარდის მიერ გამოვლენილ მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებშიც აღმოჩნდა.

## იაპონელთა „მონარქი“ ხორვატიაში

ლეგენდარულმა იაპონელმა ფეხბურთელმა კაზუიში მიურამ ზაგრების „კროაციასთან“ 1,5 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხორვატებს ეს გარიგება 600 000 გერმანული მარკა დაუჯდათ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ 31 წლის **KING-KAZU** (მეფე-კაზუ — ასე უწოდებენ კაზუიში მიურას თანამემამუ-



ლეები) სარფიანი შემოსავლის წყარო გახდება „კროაციასათვის“. საქმე ისაა, რომ უკვე ერთ-ერთ იაპონურ ტელეარხს „კროაციის“ ყველა თამაშის პირდაპირი ტელეგადაცემის უფლების შეძენა სურს, რადგან მიურა ამომავალი მზის ქვეყანაში კვლავინდებურად ძალიან პოპულარულია.

# სინიშა მიხაილოვიჩს სიდედრმა უშველა

გასაოცარია რამაა — სინიშა მიხაილოვიჩმა გადაასწრო იტალიის ჩემპიონატებში მონაწილე ყველა კორიფეს: გნებავთ პლატინის, გნებავთ მარადონას თუ რობერტო ბაჯოს... გასაგებია, ლაპარაკია საჯარიმო დარტყმების შესრულებაზე, თორემ სხვანაირად სინიშას ამ გიგანტებთან, რომ იტყვიან, რა ხელი აქვს.

მართლაც საოცარია, იმ 17 გოლიდან, რომელიც მიხაილოვიჩმა იტალიის ჩემპიონატებში გაიტანა, 16 (!) საჯარიმო დარტყმებზე მოდის. ამას იგი ჯერ გენუის „სამპდორიაში“ ასრულებდა, ახლა რომის „ლაციოში“. ამ ჩათვლაში, ცხადია, არ შედის ის გოლები, რომლებიც სინიშას იუგოსლავიის ნაკრებში გააქვს. თუ სხვა კორიფეებს, ვთქვათ, 4 საჯარიმო დარტყმიდან საშუალოდ ერთი გააქვთ, მიხაილოვიჩთან ეს მაჩვენებელი, ასე განსაჯეთ, 100 პროცენტს უახლოვდება! იტალიის ჩემპიონატის პირველი წლის მიწურულში „სამპდორიასთან“ საოცარი ჰეთ-რიკი აღინიშნა — იუგოსლაველმა საჯარიმო დარტყმებით სამი გოლი გაიტანა.

● ***„სამპდორია“ის კლუბია, სადაც თქვენ ოთხი სეზონი გაატარეთ, ახლა კი ზაფხულიდან მოყოლებული, „ლაციოში“ გამოდიხართ. სწორედ „სამპდორიასთან“ დაამყარეთ თქვენი გასაოცარი რეკორდი. ეს შემთხვევითია თუ არა?***

— არა, არ არის შემთხვევითი. „სამპდორიის“ მეკარე ფერონი ჩემი კარგი მეგობარია. ჩემთვის ცნობილია მისი საიდუმლოებები.

● ***ისევე, როგორც მისთვის თქვენი, არა?***

— დიახ, ისევე, როგორც ჩემი მისთვის. როცა მინდორზე გამოვდიოდით, რამდენიმე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს, „გაფრთხილდი, ფერო! თუკი ჩემს დარტყმამდე ადგილიდან დაიძვრები, გოლს აუცილებლად გაგიტან“. მე, რა თქმა უნდა, ვეხუმრებოდი. მაგრამ პირდაპირ ზღაპრული ამბები მოხდა: საჯარიმოს გოლი მოჰყვა, კიდევ საჯარიმო გოლი, ეს პირველ ტაიმში მოხდა. მეორე ნახევარზეც ერთად გამოვედით. ის-ის იყო სიტყვის თქმა დავაპირე, ფერონმა ხელი დამიქნია: „არ არის საჭირო მეტის თქმა!“

● ***და ამანაც არ იმოქმედა, მეორე ტაიმშიც საჯარიმოთი გოლი გაიტანეთ...***

— ეს ჩემი დღე გამოდგა. ვინ იფიქრებდა. თამაშის წინა დღეს თავს შეუძლოდ ვიგრძნობდი, ეჭვი მეპარებოდა, კვირას ვითამაშებდი თუ არა. არც ის ვიცოდი, მიმეღო თუ არა მონაწილეობა ქეიფში, რომელიც რობერტო მანჩინიმ მოაწყო (იგი 34 წლისა გახდა). არ ვითამაშებდი, ჩემს ცოლს არიადნას რომ არ დაეძალებინა.

● ***რა, ძალით ჩაგაცვათ მაისური და ბუცები?***

— არა, რას ამბობთ! ყველაფერი უფრო კურიოზულად მოხდა. არიადნას უნდა წაეყვანა ტელეგადაცემა, სადაც ჩვეულებრივ ცნობილი ფეხბურთელების ცოლებსა და მეგობარ ქალებს იწვევენ ხოლმე. ამჯერად წამყვანის როლის შესრულება სწორედ მას დააკისრეს, მას უნდა გაეკეთებინა ჩემი თამაშის კომენტარი. რა გაეწყობოდა, გავიკეთე ტკივილის გამაყუჩებელი ნემსი და...

● ***აი, რასთან ყოფილა დაკავშირებული თქვენი ტრიუმფი.***

— ჩვენ სამი წლის წინ ვიქორწინეთ და ორი შვილიც გვყავს. პატარა გოგონა ექვსი თვისაა, უფროსი ოცი თვისა, მაგრამ მაბრაზებს: „ფორცა რომა!“ ასე ასწავლეს ცოლის ნათესავებმა, რომლებიც „რომას“ გულშემატკივრები არიან, უფრო სწორედ, იყვნენ. ახლა, როცა „ლაციოში“ ვთამაშობ, მათ გადაწყვეტილება შეცვალეს... სამაგიეროდ, სიდედრი მონასტერშიც კი წავიდა სალოცავად, რომ მე დაწყევლა მომხსნოდა.

● ***რა დაწყევლა?***

— საქმე ის არის, რომ კარგა ხნის მანძილზე საჯარიმოდან გოლი ვერ გამქონდა: ხან ძელს ვახვედრებდი ბურთს, ხან ხარიხას. მე უკვე დაცინვა დამიწყეს: „ხის ბომბარდირს“, „ფეხბურთის პინოკიოს“ მეძახდნენ. მე ასეთი 34 „მოხვედრა“ დავითვალე. ბურთს ბადეში შესვლა არ უნდოდა. მაშინ იყო, რომ სიდედრმა მონასტერში წმინდა პაპის პიუსის ხატს სთხოვა დამხმარებოდა, მართლაც, ყველაფერი შეიცვალა და იმ დროიდან მოყოლებული საჯარიმოებს სისტემატურად ვიყენებ.

## ბოსმანს, ბოლოს და ბოლოს, გადაუხადეს

ჟან-მარკ ბოსმანმა ბოლოს და ბოლოს მიიღო კომპენსაცია 1990 წელს „ლიეჟიდან“ (ბელგია) „დიუნკერკში“ (საფრანგეთი) არშემდგარი გადასვლისათვის. რვაწლიანი საჩივრის შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ ფეხბურთელს 16 მილიონი ბელგიური ფრანკი (466 700 დოლარი) უნდა გადაუხადონ.

## ლიტველები შეავსებენ „სპარტაკს“

როგორც ლიტვის კლუბ „კარედას“ რუსმა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პისკარიოვმა განაცხადა, მოსკოვის „სპარტაკში“ გადადის მისი კლუბის სამი ფეხბურთელი: 20 წლის ცენტრალური მცველი ტადას გრაჟიუნასი, 25 წლის ნახევარმცველი არუნას ბიჩკა და 21 წლის ცენტრფორვარდი არტურას ფომენკა.

## ვერეტენიკოვს საფრანგეთში ეპატიჟებიან

„პარი სენ-ჟერმენმა“, სადაც არაერთი ცდის მიუხედავად მდგომარეობა არ სწორდება, ახლა „როტორის“ სნაიპერ ოლეგ ვერეტენიკოვის შეძენა მოინდომა. ასახელებენ თანხასაც, რომლის გადახდას ფრანგები აპირებენ — 3 მილიონ დოლარს.

— ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა — განაცხადა ვერეტენიკოვმა — რა თქმა უნდა, ჩემთვის მისაღები წინადადება გახლავთ.

## ბატისტუტა ნაწყენია

მას შემდეგ, რაც ზიდანი ევროპის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, ბუენოს-აირესში მყოფმა გაბრიელ ბატისტუტამ ჟურნალისტებს განუცხადა:

— ვიზიარებ იმათ აზრს, ვინც ზიდანი ევროპის №1 ფეხბურთელად აღიარა. აი, მეორე-მესამე ადგილებზე კი, რა მოგახსენოთ. ვფიქრობ, ფიფა არასოდეს მომანიჭებს ჯილდოს. ეს, ეტყობა, იმის გამო ხდება, რომ ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც იმ მომენტში ვფიქრობ ან ვგრძნობ.

## მარიო ზაგალო – „პორტუგეზას“ მწვრთნელი

სწორი არ აღმოჩნდა ზოგიერთი სატელეგრაფო სააგენტოს ცნობა, თითქოს მარიო ზაგალო პორტუგალიის ნაკრებთან აპირებდა კონტრაქტის გაფორმებას. სინამდვილეში კი მან ექვსთვიანი ხელშეკრულება დადო ბრაზილიურ კლუბ „პორტუგეზასთან“. აი, რა განაცხადა ამ კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ილიდიუ ლიკომ:

— დროა, კლუბმა რაიმე წარმატებას მიაღწიოს. ზაგალო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რის შემდეგ კონტრაქტს უკვე 1999 წლის ბოლომდე გავაგრძელებთ. ზაგალო ერთადერთია, ვინც ოთხჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. მან ყველა სხვა ხელშეკრულებაზე უარი თქვა, რათა ჩვენთან დაეწყო მუშაობა.

ზაგალოს იწვევდნენ რიო-დე-ჟანეიროს „ბოტაფოგო“ და მექსიკის „ამერიკა“, მაგრამ მან მაინცდამაინც „პორტუგეზა“ ამჯობინა.

## „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგის ფავორიტია

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის წილისყრას გამოეხმაურნენ არამარტო გულშემატკივრები და ჟურნალისტები, არამედ ინგლისელი ბუკმეკერებიც. ისინი უპირატესობას „იუვენტუსს“ ანიჭებენ. შემდეგ მოდიან მადრიდის „რეალი“ და მიუნხენის „ბაიერნი“. საინტერესოა, რომ წილისყრამდე ბუკმეკერების ფავორიტად მილანის „ინტერი“ ითვლებოდა, მაგრამ მათი დამოკიდებულება შეიცვალა, როცა იტალიელებს მეტოქეებად ინგლისელების „მანჩესტერ იუნაიტედი“ შეხვდა. ახლა „ინტერს“ მეოთხე ადგილს მიაკუთვნებენ, მანჩესტერელებს — მეხუთეს. შემდეგ მოდიან კიევის დინამოელები და „კაიზერსლაუტერნი“, ბოლო ადგილზე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, პირეოსის „ოლიმპიაკოსია“.

საფეხბურთო რაკურსი

# იტალიის ჩემპიონატი რუსი ლეგიონერის თვალით

*მოსკოვში რამდენიმე დღით მყოფი „რომას“ ფეხბურთელი დმიტრი ალენიჩევი ესაუბრა ჟურნალისტებს იტალიის ჩემპიონატისა და სხვა სპორტული პრობლემების შესახებ.*

● ***იტალიაში საშობაო არდადეგები ხანმოკლეა.***

– ვარჯიშზე რომ დაიგვიანოთ, შეუძლიათ დაგაჯარიმონ კიდეც.

– მე ჯერ არა მქონია ამნაირი შემთხვევა, ვცდილობ არ დავარღვიო დისციპლინა. თუმცა ერთხელ საკმაოდ დიდი თანხით დამაჯარიმეს. ვთამაშობდით „ბოლონიასთან“. მაშინ, როცა ანგარიში იყო 1-1, თამაშის დამთავრებას კი 15 წუთი უკლდა, შევედი მინდორზე, ასე ჩათვალა მწვრთნელმა საჭიროდ. მეტოქის კარის სიახლოვეს წამაქციეს. მსაჯმა პენალტი არ მოგვცა. გასაგები იყო — რისკის გაწევა არ უნდოდა. მან ყვითელი ბარათით დამაჯარიმა. იმ მომენტში ამას რაიმე მნიშვნელობა არ მივანიჭე, მაგრამ მეორე დღეს შემატყობინეს, რომ 2 ათასი დოლარი უნდა გადამეხადა. რატომ, რაში? თურმე იტალიის ფეხბურთის ფედერაციას ასეთი გადაწყვეტილება მიუღია: თუკი ყვითელი ბარათი მოცემულია სიმულაციისათვის, ფეხბურთელმა პირადად ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს. ასე იყო, 15 წუთი ვითამაშე და 2 ათასი დოლარი გადავიხადე. მატჩის შემდეგ ტელევიზიით გაარჩიეს ეს თამაში და 10 სპეციალისტიდან ცხრამ განაცხადა, რომ პენალტი უნდა დანიშნულიყო. ახლა მეშინია საჯარიმო მოედანზე წაქცევისა.

● ***უკანასკნელ ტურში „ინტერთან“ შეხვედრისას თქვენ სათადარიგო მოთამაშეთა შორისაც კი არ იყავით.***

– მატჩზე შეიძლება მხოლოდ სამი უცხოელის გამოყვანა იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ЕЭС-ში არ შედიან. ისე რომ, მე ზედმეტი აღმოვჩნდი.

● ***დასაწყისში თქვენ სისტემატურად თამაშობდით ძირითად შემადგენლობაში, შემდეგ კი იშვიათად. რაშია საქმე?***

– აქ რაიმე პრობლემას ვერ ვხედავ. მწვრთნელი ზემანი ამბობს: ყველაფერს თავისი დრო აქვს, არ გეწყინოს, თუკი ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდები. მიიხედ-მოიხედე, დააკვირდი იმ სამი ნახევარმცველის თამაშს, რომლებსაც იტალიის ნაკრებში იწვევენ, ისინი ჩემს სათამაშო სქემას შეესატყვისებიან. ნუ აფორიაქდები, ყველაფერი ნორმალურად იქნება. და ამის შემდეგ მეც წყნარად ვარ. აი, „სპარტაკში“ რომ ასეთ სიტუაციაში აღმოვჩენილიყავი, ძალზე მეწყინებოდა, მაგრამ ეს ხომ იტალიაა. მე მშვენივრად მესმოდა, რომ იქ პრობლემები მექნებოდა და შინაგანად მზადაც ვიყავი.

● ***თქვენ ამბობდით, რომ ზემანი ცდილობს სხვანაირი ფეხბურთი გასწავლოთ, რომ სპარტაკული „ქედელი“ უნდა დაივიწყოთ. უსმენთ მის სიტყვებს?***

– ზოგჯერ მე თვითონ ვფიქრობ: ვსწავლობ ამ სხვანაირ ფეხბურთს თუ არა? ძნელი სათქმელია. მწვრთნელისათვის იდეალური სიტუაცია იქმნება, როცა მოთამაშე მის სქემას პასუხობს. მაგრამ, მეორე მხრივ, მე არ მინდა თავის დაძალება, ადრინდელ მანერაზე ხელის აღება. თუკი გარდაქმნას დავიწყებ, მაშინ სულ სხვა მოთამაშე ვიქნები. ვიცი, რომშიც და იტალიაშიც იმის გამო, არ ვუყვარ, რომ ბევრს დავრბივარ. არამედ მოსწონთ ჩემი ბურთის ფლობა, არასტანდარტული თამაში. ვისწავლი იტალიურს და უფრო საფუძვლიანად ველაპარაკები ზემანს. იტალიურ ენაში კვირაში ორჯერ ვმეცადინეობ, ბევრი რამ უკვე მესმის, „რომას“ ფეხბურთელები ცდილობენ უცენზურო სიტყვებით მაცდუნონ. ეს სიტყვები ზემანთან სასაუბროდ რას მეყოფა (ეღიმება). მინდა ზრდილობიანი ფორმით ვუთხრა: მე ისე ვითამაშებ, როგორც მეხერხება. რამის შეცვლა უკვე გვიანღაა. მინდა ჩემი ძლიერი თვისებების გამოყენება.

● ***ასეთმა დაუთმობლობამ გართულებები წარმოშვა.***

– დიახ, ასეა ჩემს მიმართ პრეტენზია ერთია: დაცვაში ცოტას ვთამაშობ. დიახ, მე და ტოტი ყოველთვის შეტევისათვის ვართ შემართული. ზემანი ამას ხედავს და დასკვნებიც გამოაქვს.

● ***თქვენ უკვე შეეჩვიეთ იტალიის ჩემპიონატს?***

– დიახ, სავსებით. იმედი მაქვს, მომავალ წელს სისტემატურად ვითამაშებ ძირითად შემადგენლობაში, ისეთნაირად, როგორც „სპარტაკში“ ვთამაშობდი. ნახევარი წელი როგორღაც ისეთი არ გამომივიდა, როგორიც მინდოდა. ახლა დიდი გეგმები მაქვს. სასიამოვნოა, როცა გულშემატკივრები მეუბნებიან: ჩვენგან არსად არ წახვიდე. ასეთია ჩემდამი დამოკიდებულება არა მარტო რომში, არამედ, საერთოდ, იტალიაში. მე მოსკოვში მილანიდან გამოვფრინდი, საპასპორტო კონტროლს გავდიოდი. პოლიციელმა ნახა ჩემი პასპორტი, შემაჩერა. ვიფიქრე, რაღაცაში იყო საქმე, სხვა მგზავრებს ხელი დაუქნია: „გაიარეთ, გაიარეთ“ მე კი მითხრა: „დმიტრი, არ მესმის, რატომ არ თამაშობ, შენ ხომ მაღალი კლასის ფეხბურთელი ხარ, გადმოდი ჩვენთან „იუვენტუსში“. იგი „იუვენტუსის“ გულშემატკივარი აღმოჩნდა. დეე, მთლად ქედმაღლურად არ გამომივიდეს, მაგრამ ყველას უკვირს, რატომ ვთამაშობ ასე იშვიათად ძირითად შემადგენლობაში.

● ***ასეთ გამონათქვამებს ხომ არ შეუძლია თქვენზე ცუდად იმოქმედოს, ვთქვათ, ნაკლები ივარჯიშოთ?***

– არა, რას ბრძანებთ. მე ნაკლებს არ ვივარჯიშებ. მე ხომ შემეძლო მეთქვა: არ მათამაშებთ და არც არაფერს გავაკეთებ. არა, პირიქით, მე უფრო მეტს ვივარჯიშებ. თუ ახლა არ ვთამაშობ, შემდეგ ხომ ვითამაშებ. თუკი მოუმზადებელი ვიქნები, ვიღა შემიყვანს ძირითად შემადგენლობაში! რომაელი გულშემატკივრები ძალიან მომთხოვნი არიან. დღეს გაქებენ, უყვარხართ, პატივს გცემენ. ცუდად რომ ითამაშებ, ყვირილს დაგიწყებენ: წადი, დაიკარგე აქედან.

● ***არ გიძნელდებათ უცხო ქვეყანაში ცხოვრება?***



ალენიჩევი საცოლესთან

– რა თქმა უნდა, იოლი არ არის, მაგრამ შევეჩვიე. ჩემი საცოლე ნასტია თვეში ერთხელ ჩამოდის. მე კმაყოფილი კი ვარ, მიყვარს განმარტოვება, შინ დარჩენა. ხანდახან იტალიელ მეგობრებთან და ბრაზილიელებთან რესტორანში მივდივარ, მაგრამ ეს საკმაოდ იშვიათად ხდება.

● ***მოწყენას არ გრძნობთ?***

– ეს გარეგნულად ჩანს, რომ ბევრი თავისუფალი დრო მაქვს, სინამდვილეში კი თითქმის ყოველდღიურად ორ-ორი ვარჯიშია. სახლიდან დილის 9 საათზე გავდივარ, ვბრუნდები საღამოს 6 საათზე. ისე, რომ, დრო თითქმის არა მრჩება, ქალაქიც კი ვერ დავათვალიერე ხეირიანად.

● ***რუსეთის ჩემპიონატს თუ ადევნებთ თვალყურს?***

– სამწუხაროდ, არა. იტალიის ჩემპიონატის მატჩებსაც მხოლოდ საფეხბურთო მიმოხილვაში ვეცნობი.

● ***როგორი აზრი შეგექმნათ იტალიის ჩემპიონატზე?***

– ახლა ყველაზე ძლიერად „პარმა“ და „ფიორენტინა“ გამოიყურებიან. მაგრამ, ამასთან, ჩემი აზრით, თუ ბატისტუტა დაშავდება, „ფიორენტინა“ ერთბაშად სატურნირო ცხრილის შუაგულში აღმოჩნდება. ისე კი, „ფიორენტინას“ იტალიის ჩემპიონობის კარგი შესაძლებლობა აქვს.

● ***მაღალი ადგილის პრეტენდენტთა შორის „რომასაც“ ასახელებდნენ.***

– მე დასაწყისში ამ ლაპარაკს სკეპტიკურად ვეკიდებოდი. ვფიქრობდი, ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ხუთეულში მოვხვდებოდით. ახლა აზრი შემეცვალა და ვფიქრობ, რომ არაფერი მოულოდნელი არ მოხდება, თუკი მეორე ან მესამე ადგილზე გავალთ. საინტერესოა, რომ იმ მატჩებშიც კი, როცა მარცხდება, „რომა“ მეტოქეებზე უკეთესია. შეიძლება ზოგს გაუკვირდეს ჩემი სიტყვები, მაგრამ უკანასკნელ ტურში „ინტერთან“, როცა „რომა“ დამარცხდა 1-4, ჩვენ უკეთ გამოვიყურებოდით. მიგვყავდა 1-0, შემდეგ გაგვიგდეს მცველი და ამან ყველაფერი აგვირდაგვირია. აღარავინ გვყავდა, რომ თამაშში შემოგვეყვანა. ალდაირი მატჩამდე მოთელვაზე კი გამოვიდა, მაგრამ ფეხში ტკივილები იგრძნო და თამაში ვერ შეძლო. როცა ფეხბურთელი გაგვიგდეს, გადაადგილებები მოგვიხდა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა.

● ***იტალიური პრესა „რომას“ შემადგენლობაში ტოტის გამოყოფს.***

– ეს ფეხბურთელი „რომასათვის“ იგივეა, რაც თავის დროზე „ნაპოლისათვის“ მარადონა იყო.

● ***თქვენ და ტოტი მსგავსი მანერით თამაშობთ.***

– ამის გამო იოლად ვუგებთ ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ სხვადასხვანაირად გვექცევიან. მე, მაგალითად, სამი გოლი გავიტანე, ზემანმა კი თქვა, რომ ისინი „არასწორად“ გავიტანე. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ გოლი გავიტანე „ფიორენტინასთან“, მოვიგეთ 2-1, შემდეგ მატჩს კი... ტრიბუნიდან ვუყურებდი. ყველა გაოცებული დარჩა.

● ***მეორე მხრივ, ეს ხომ მწვრთნელის უფლებაა, ვინ ითამაშებს და ვინ არა.***

– მე მთლიანად გეთანხმებით დაამიტომ ზემანზე ნაწყენი არა ვარ. იგი დიდი სპეციალისტია და ამიტომაც პატივს ვცემ. მე, უბრალოდ, ფაქტების კონსტატაციას ვახდენ და მწვრთნელს არაფერს ვუსაყვედურებ. მე ბევრი რამ მასწავლა იმ ფეხბურთელების გამოცდილებამ, საზღვარგარეთ ჩემამდე რომ გაემგზავრნენ. ამიტომ მწვრთნელის გადაწყვეტილება ჩემთვის კანონია, თუმცა ვის შეუძლია დამიშალოს ჩემი მოსაზრება მოთამაშეებს, განვავთ იგივე მწვრთნელსა და ჟურნალისტებს გავუზიარო. მე ვუსმენ იმავე ალდაირს, რომელიც ჩემთვის ნამდვილად ავტორიტეტია. ის და კაფუ მეუბნებიან: შენ მაღალი კლასის მოთამაშე ხარ, მაგრამ ყველაფერს წყნარად უნდა შეხედე. დეე, ყველა პრობლემა მწვრთნელმა გადაწყვიტოს. მან იცის, რა და როდის უნდა გააკეთოს. შენ რომ მწვრთნელი იყო, იგივეს გააკეთებდი.

● ***როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს მწვრთნელი ზემანი?***

– იგი გულღია, კეთილმოსურნე ადამიანია, არასდროს ხმას არ აუწევს ხოლმე. რაც მთავარია, მოთამაშეებთან ახლოსაა, მასთან ყოველთვის შეიძლება ლაპარაკი.

● ***თქვენ მეტად ხანგრძლივი სეზონი გამოგივიდათ. გეყოფათ ძალები?***

– ზემანი ამასაც ითვალისწინებს. შენ ორჯერ იყავი შეკრებაზეო, ამბობს, იანვარში „სპარტაკში“, აგვისტოში კი „რომაში“, ისე რომ, გადატვირთვა არა ღირს.

● ***1999 წელს პირველად მოგიხდებათ მაღალი დაძაბულობის ოფიციალური მატჩების ჩატარება ზამთარში.***

– იმედი მაქვს, დიდ გართულებებს არ წავაწყდები. რაც არ უნდა იყოს, აგვისტოში „რომაში“ ისე მავარჯიშეს, რომ ძალები მთელი სეზონისათვის უნდა მეყოს. ჩემპიონატის მსვლელობის დროსაც დიდი ფიზიკური დატვირთვა გვაქვს.

● ***გავიგეთ, რომ თქვენ ამას წინათ რონალდო გაიცანით.***

– დიახ, სწორია. ეს მოხდა იტალიისა და მსოფლიოს ნაკრების შეხვედრის დროს. პირველი ტაიმის შემდეგ რონალდო მინდვრიდან გავიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და ტრიბუნაზე ამოვიდა. ჩვენ ერთად ვადევნებდით თვალყურს მატჩს. მაგრამ, გულახდილად გეტყვით, რონალდოსთან რომ ზიხარ, რომელ ფეხბურთის მატჩის ყურებაზეა ლაპარაკი. მასთან უამრავი ადამიანი მოდიოდა. ერთი მხრივ, კარგია რონალდო იყო, მაგრამ მეორე მხრივ, ეს იმდენ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, იმდენ ტანჯვასთან, ერთ წუთსაც კი არ გაცლიან. მატჩის შემდეგ სტადიონიდან გამოვიდა, ხუთი ნაბიჯიც ვერ გადადგა, გულშემატკივრების მთელი ბრბო ეცა. მეტი რაღა ჩარა იყო, სტადიონზე შებრუნდა. მატჩის შემდეგ პირლოც და ვენტოლაც გავიცანი, ჩვენ ერთი მენეჯერი გვყავს. კარგი ბიჭებია.

● ***ადევნებდით თვალყურს „სპარტაკის“ თამაშს ჩემპიონთა ლიგაში?***

– ძლიერ განვიცდიდი. ძალიან გამიხარდა „რეალთან“ მოგება, ისე კი, შოკურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როცა მოსკოვში „სპარტაკმა“ „ინტერთან“ უკანასკნელ წუთზე გოლი მიიღო. ძალიან საწყენი იყო.

● ***მახსოვს, ამ სამი თვის წინათ იტალიაში გადასვლაზე ცოტა სინანულით ლაპარაკობდით. ახლა ყველაფრით კმაყოფილი ხართ. ასე არ არის?***

– ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. ისე რომ, მეც შევეჩვიე. მახსოვს რომანცევის სიტყვები, იტალიაში წასვლის წინ რომ მითხრა: პირველ ხანს გაგიჭირდება, მაგრამ უნდა მოითმინო. მეც ვითმინე და ახლა იტალიაში თავს უცხოდ უკვე აღარ ვგრძნობ.

## „სურკისი ჩემი გამღატაკებელია“

„მილანის“ ფეხბურთელთა კლუბი შეიკრიბა ტრადიციულ საზეიმო ვახშამზე სასტუმრო „მარიოტში“. იქ გამოცხადდა იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პარტია „ფორცა იტალიას“ ლიდერი და კლუბის პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი, რამაც 330 დამსწრის ინტერესი გამოიწვია.

ბერლუსკონიმ მიმდინარე სეზონი დაახასიათა, როგორც გარდამავალი „მილანის“ ფეხბურთელებისათვის. ახლა ჩემპიონობის მოპოვების ამოცანა კლუბის წინაშე არა დგას, მაგრამ გაისისთვის გუნდმა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები უნდა გადაწყვიტოს. ვნახოთ, გუნდს შეიძლება აპრილშივე კარგი შესაძლებლობები შეექმნას.

ბერლუსკონი შეეხო „მილანში“ ანდრეი შევჩენკოს გადასვლას. „მის შესახებ უკანასკნელი ინფორმაცია არა მაქვს, არც პირადად მინახავს, მაგრამ, რაც კასეტებზე ვნახე, სრულიად საკმარისია“. კითხვაზე, კიდევ ვის შეძენას აპირებს „მილანი“ უახლოეს ხანებში, კლუბის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ისეთს არავის იყიდიან, ვინც დიდ თანხას საჭიროებდეს.

ამავე ვახშამზე ბერლუსკონის გააცნეს კიევის „დინამოს“ საპატიო პრეზიდენტი გრიგორი სურკისი, რომელსაც იტალიელმა ხუმრობით უთხრა: „აა, ეს თქვენა ხართ ის ადამიანი, ვინც ჩემს გაღატაკებას ცდილობს“.

## მოკლედ ნომრიდან — ნომრამდე





● **მონდიალი-98-ში** თავგამოჩენილი კოლუმბიის ეროვნული ნაკრების მეკარე ფარიდ მონდრაგონი ამიერიდან არგენტინულ „ინდეპენდიენტესს“ დატოვებს და ესპანურ „სარაგოსას“ ღირსებას დაიცავს...

● **ტურინის** „იუვენტუსის“ მეპატრონეებმა საბოლოოდ აიღეს ხელი ფრანგი კრისტოფ დიუგარისა და თურქი ჰაკან შუქურის შეძენაზე. ახლა გუნდის შეტევი პოტენციალის გაძლიერებას „ბებერი ქალბატონის“ სელექციონერები ცდილობენ „მილანიდან“ „ბარსელონაში“ გადასული პატრიკ კლუივერტის გადაბირებით.

● **ხუთ** თვეში „მანჩესტერ იუნაიტედის“ დანიელ მეკარე პეტერ შმეიხელს კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება. მისი ყიდვის სურვილი იტალიურმა „უდინეზემ“ გამოთქვა. გარდა ამისა, სახელგანთქმულ ფეხბურთელს ეპატიჟებიან ესპანური, ფრანგული, პორტუგალიური და დანიური კლუბები.

● **31 დეკემბერს** ამოიწურა 2006 წლის მონდიალის მასპინძლობის მსურველთა კანდიდატურების წარდგენის ვადა. ფიფამ რეგისტრაციაში გაატარა ის 7 სახელმწიფო, რომელიც ამ დიდი ფორუმის ჩატარებას ლამობს: ინგლისი, გერმანია, ბრაზილია, ეგვიპტე, განა, მაროკო და სამხრეთ აფრიკა. ფიფა თავის საბოლოო ვერდიქტს გაისად მარტში გამოიტანს.

## ევროპული ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები ● თასი

### ესპანეთი

**XVI ტური.** სარაგოსა - დეპორტივო 3-1, სალამანკა — ესპანიოლი 2-3, რეალი — ტენერიფე 4-0, რასინგი — ატლეტიკო 2-3, ესტრემადურა — მალიორკა 1-0, სელტა — ოვიედო 6-2, ბეტისი — ვილიარეალი 4-1, ბარსელონა — ალავესი 7-1, ატლეტიკი — ვალიადოლიდი 2-1, ვალენსია — რეალ-სოსიედადი 2-0. მალიორკა — 29 ქულა, სელტა, ვალენსია — 28-28. *ბომბარდირები:* ურსაისი (ატლეტიკი) — 10, რაული (რეალი) — 9.

### შოტლანდია

**XXII ტური.** მოზერველი — კილმარნოკი 1-2, სენტ-ჯონსტონი — აბერდინი 4-1, დანფერმლაინი — ჰართსი 0-0, დანდი — დანდი იუნაიტედი 1-3, რეინჯერსი — სელტიკი 2-2. რეინჯერსი — 44 ქულა, კილმარნოკი — 40, სელტიკი — 34. *ბომბარდირები:* ლარსონი (სელტიკი) — 13, უოლესი (რეინჯერსი), ჯესი (აბერდინი) 12-12.

### ინგლისი

*ასოციაციის თასი (მესამე რაუნდი).* მანჩესტერი — მიდლსბრო 3-1, შეფილდ უენსდეი — ნორვიჩი 4-1, პორტ ვეილი — ლივერპული 0-3, ბრედფორდი — გრიმსბი 2-1, ბორნმუტი — ვესტ ბრომვიჩი 1-0, ბოლტონი — ვულვერჰემპტონი 1-2, ქრიუ-ოქსფორდი 1-3, კარდიფი — იეოვილი 1-1, ბერი — სტოკპორტი 0-3, ლინკოლნი — სანდერლენდი 0-1. შეფილდ იუნაიტედი — ნოტს ქაუნთი 1-1, როტერჰემი-ბრისტოლი 0-1, ქუინზ პარკ რეინჯერსი — ჰადერსფილდი 0-1, ტრანმერი — იფსვიჩი 0-1, სვინდონი — ბარნსლი 0-0, საუთპორტი — ლეიტონი 0-2, რექსემი — სკანტორფი 4-3, ქოვენთრი — მაკლესფილდი 7-0, ბრისტოლ სიტი — ევერტონი 0-2, პლიმუტი — დერბი 0-3, საუთჰემპტონი — ფულჰემი 1-1, უიმბლდონი — მანჩ.სიტი 1-0, ვესთ ჰემი — სუონსი 1-1, ტოტენჰემი — უოტფორდი 5-2, ლესტერი — ბირმინგემი 4-2, ნოტინგემ ფორესტი — პორტსმუტი 0-1, ოლდჰემი — ჩელსი 0-2, ასტონ ვილა — ჰალი 3-0, რუშდენ დაიმონდსი — ლიდსი 0-0, ნიუკასლი — კრისტალ პალასი 2-1, ბლექბერნი — ჩარლტონი 2-0.



მანჩესტერ იუნაიტედი — მიდლსბრო. შეტევაზეა მანჩესტერელი დუაიტ იორკი (მარჯვნივ)

# რა ხდება ქვეყანაზე

## დრეიფუსი – ახალ ამპლუაში

გვარის გარდა, ამ ფრანგ ჯენტლმენს არაფერი აქვს საერთო ზოლას „კლიენტთან“, რომელსაც მწერალი „საუკუნის პროცესზე“ იცავდა, მაგრამ პოპულარობა, სპორტულ სამყაროში განსაკუთრებით, აშკარად არ აკლია. საკმარისია გავიხსენოთ, რომ საფეხბურთო კლუბ „მარსელის“ პრეზიდენტი რობერ-ლუი დრეიფუსი თავის საქმიანობას, სპორტსაქონლის მწარმოებელ მსოფლიოში ცნობილი ფირმის „ადიდასის“ პრეზიდენტობასაც უთავსებს. ახლა მისი თაოსნობით „მარსელი“ კონტინენტურ ევროპაში პირველი საფეხბურთო კლუბი იქნება, ვისაც საკუთარი სატელევიზიო არხი ექნება. მას „ო-ემ-ტი-ვი“ ერქმევა, რომლის ყოველდღიური გადაცემების საეთერო დრო 16-20 საათამდე იქნება, აბონენტებს საკლუბო პროგრამით სარგებლობა ყოველთვიურად 6 დოლარი დაუჯდებათ. სადგური ცნობილ კომპანია „კანალ +“-ის ქსელში 16 იანვრიდან დაიწყებს მუშაობას. საკუთარი არხის შექმნის იდეას, რომელიც ფრანგებმა მეზობელი ქვეყნის – ინგლისისგან გადაიღეს, კლუბის პრეზიდენტი დრეიფუსი ასე ხსნის: „ადგილობრივი პრესა, მართალია ხელს უწყობს კლუბის წინსვლას, მაგრამ მეტი უნდა გვქონდეს, რაც საშუალებას მოგვცემს აღვუდგეთ პრესის აზრს, რომელიც ყოველთვის როდი გვიჭერს მხარს. მარსელის კლუბმა ორ მილიონნახევრამდე დოლარი დახარჯა საკუთარი არხის შესაქმნელად, და იმედი აქვს, რომ 1999 წლის ბოლოსთვის 12 ათასი აბონენტი ეყოლება. „ეს სავსებით რეალური ციფრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელს ქვეყანაში „მარსელს“ 100 ათასამდე გულშემატკივარი ჰყავს“, – განაცხადა „მარსელის“ ვიცე-პრეზიდენტმა ჟან-მიშელ რუსიემ.

## ლეინი ტოვებს რინგს

დიახ, სწორედ ის ლეინ მოლესი, რომელმაც მაიკ ტაისონსა და ევანდერ ჰოლიფილდის მსოფლიო პირველობის გახმაურებულ სკანდალურ ბრძოლაში მაიკის „ყურიჭამიობა“ რომ დააფიქსირა, ამთავრებს 31 წლიან სამსაჯო კარიერას. პროფესიონალ მოკრივეთა შეხვედრების ამ ერთგულ მსახურს უწოდებენ „რინგის პატრიარქს“, მას ნამსაჯევი აქვს ლეგენდარული მოკრივეების: მუჰამედ ალის, რეი „შუგარ“ ლეონარდის, ლარი ჰოლმსის ორთაბრძოლები... ცნობილი კი სწორედ „რკინის მაიკის“ დისკვალიფიკაციის შედეგად გახდა. ვეტერანი-მსაჯი ტელეკომენტატორობას აპირებს, სადაც სურს შექმნას პროფესიული კრივის საიდუმლოებათა საკუთარი პროგრამა.

## რუსეთის ფეხბურთის რეიტინგი საგრძნობლად დაეცა

ფიფას 1998 წლის შემაჯამებელ რეიტინგში რუსეთი მე-40 ადგილზეა, ერთი წლის განმავლობაში 28 პოზიცია დათმო. მსოფლიოს უძლიერესებს კვლავ ბრაზილია უდგას სათავეში. მეექვსე ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლეს მსოფლიო ჩემპიონებმა – ფრანგებმა. მესამეზე გერმანელები არიან. მეოთხე ადგილზე გავიდა ხორვატია, რომელმაც შარშანდელი პროგრესის შედეგად 15 პოზიციით აიწია.

# პუნში მოკრივესაც არ ინდობს

## გარდაიცვალა ჯერი კუორი



ამ ფოტოზე მუჰამედ ალი (მარჯვნივ) თავისი ლონიერი მარჯვენათი უსწორდება ჯერი კუორის. ეს ბრძოლა 1970 წლის 26 ოქტომბერს გაიმართა და მხოლოდ სამ რაუნდს გასტანა – გამარჯვებული, რა თქმა უნდა, მუჰამედ ალი იყო. კუორი იმ დროისთვის საკმაოდ პოპულარული მძიმეწონოსანი გახლდათ. ის მუჰამედ ალის გარდა ფლოიდ პატერსონსაც ეცილებოდა მსოფლიო ჩემპიონობაში. კარიერის დამთავრების შემდეგ კი ალკოჰოლს მიეძალა. განსაკუთრებით პუნშის დიდი მოტრფიალე გახლდათ.

ცხოვრების მანკიერი წესი კი არც მოკრივეებს ინდობს – გუშინწინ, ჯერი კუორი 53 წლის ასაკში გარდაიცვალა ტემპლეტონში (კალიფორნია).

# ჰოლიფილდის 9 შვილიდან 5 უკანონოა



ევანდერ ჰოლიფილდს, მსოფლიო ჩემპიონს IBF და WBA-ს ვერსიებით ორი საჩემპიონო ქამარი აქვს, და, როგორც ამ დღეებში სენსაციური განცხადებით გახდა ცნობილი, დაემატა... 5 უკანონო შვილიც. ამას ემატება 4 კანონიერიც: 3 პირველ მეუღლე პაულეტასთან, ერთიც – ახალ ცოლთან ჯანისთან – სულ ცხრა. საინტერესოა, რომ განთქმული მოკრივის დედას, ანი ჰოლიფილდს 9 შვილი ჰყავდა, თუმცა არც ერთხელ არ გათხოვილა:

– ვფიქრობდი, სწორედ მოვიქეცი, როცა პაულეტაზე ვიქორწინე, მაგრამ ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც ვიმედოვნებდი, როცა არ იფიქრებ და ისე მოიყვან ცოლს, შეიძლება სწორედ ასე გამოვიდეს. შემდეგ უკვე ჯანისს შევხვდი და ყველაფერი თავიდან დავიწყე.

ორი უკანასკნელი უკანონო შვილი ევანდერს სწორედ მას შემდეგ შეეძინა, რაც ჯანიზე იქორწინა. საერთოდ კი, ეს 5 „ბუში“ 4 სხვადასხვა ქალის შვილია.

– ზოგი აუცილებლად შემეკითხება, რატომ დავიწყე ლაპარაკი ამ შვილების შესახებ. მათ ვუპასუხებ, რომ თვითონ არ ვიცი ვინ იყო ჩემი მამა. რა არის უმამობა, თვით გამოვცადე და განვიცადე. იმედი მაქვს, ეს ბავშვები რომ გაიზრდებიან, ჩემს შეცდომებს აღარ გაიმეორებენ.

ჰოლიფილდი, საკუთარი განცხადებით, ბევრ დროს ატარებს თავის, როგორც კანონიერ, ისე უკანონო შვილებთან, ყველას მატერიალურად უზრუნველყოფს.

ბედის ირონიით, ამას წინათ ჰოლიფილდი აირჩიეს უმამო ბავშვების დაცვის ეროვნულ სახელმწიფო ასოციაციაში.

მის ახლანდელ მეუღლე ჯანისს ძალიან არ მოეწონა ჰოლიფილდის ასეთი გულახდილობა ჟურნალისტებთან, თუმცა მოკრივემ თქვა, რომ ეს ნაკლებად აფიქრებს.

– ვიცი, რომ ეს ჩემს ცოლს არ მოსწონს, მაგრამ ნება მომეცით, თვით გადავწყვიტო, რა ვთქვა და რა არა.

სხვათა შორის, ჰოლიფილდი ჯანისს თავის საუკეთესო მეგობრად თვლის.

## სპორტი ცისფერ ეკრანზე
### 5-9 იანვარი

**5 იანვარი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი“ (21.50). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.00; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია.*** *ORT-1.* ჰოკეი. ევროლიგა: „ლექსანდი“ – „დინამო“ (0.25). *REN TV.* „სპორტკურიერი“ (21.45; 0.45). *ACT.* „სპორტი ყოველდღე“ (20.40; 23.25). *НТВ плюс спорт.* ჭადრაკის გაკვეთილი (8.05; 16.10). ამერიკული ფეხბურთი (8.45). „საჭადრაკო მიმოხილვა“ (11.10). მაგიდის ჩოგბურთი (12.10). ფიგურული ციგურაობა. რუსეთის ჩემპიონატი (16.55). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.30), „დიდი რინგი“ (0.00). ბოულინგი (1.25). *ESPN.* ბილიარდი (3.00; 0.30). კალათბურთი (4.00). ჰოკეი (5.30). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (7.30). აზიური ფეხბურთი (9.30; 16.30). სპორტული ცენტრი (10.30; 16.30; 18.00; 22.00). ფეხბურთი (11.30; 14.00; 17.30; 22.30). ცხენოსნობა (13.30). რაგბი (17.00). ფიგურული ციგურაობა (20.00). ჰოლანდიური ფეხბურთი (22.30). კრივი (0.30). *EUROSPORT.* სამთო თხილამურები (13.00; 15.45; 16.00; 20.30). სათხილამურო კროსი (14.25; 18.30). ტრამპლინიდან ხტომა (17.00; 21.30). კრივი (23.00). რალი (0.30). ფეხბურთი (2.00).

**6 იანვარი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია.*** „ასპარეზი“ (10.40). „დრიბლინგი“ (15.15). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.00, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია.*** *ТВ центр.* ცხენოსნობა (11.00). *REN TV.* „სპორტკურიერი“ (21.45; 0.30). *ACT.* „სპორტი ყოველდღე“ (15.30; 23.20). *НТВ плюс спорт.* მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (8.05; 16.10). ამერიკული ფეხბურთი (8.45). სტენლის თასის ფინალური მატჩების რეტროსპექტივა (10.10). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (12.25). მაგიდის ჩოგბურთი (14.35). ფიგურული ციგურაობა. რუსეთის ჩემპიონატი (16.55). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (23.00). კალათბურთი. ევროლიგა (1.10). *ESPN.* ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური მატჩი (4.00). ფეხბურთი (6.00; 17.30). ფიგურული ციგურაობა (8.00; 20.00). სპორტული ცენტრი (10.30; 16.00; 18.00; 22.00). ველოსპორტი (11.30). ჰოკეი (14.50). მოტოსპორტი (22.30). კრივი (23.00). კარატე (0.30). ბილიარდი (1.30). *EUROSPORT.* სამთო თხილამურები (13.00; 15.30; 21.00). ტრამპლინიდან ხტომა (16.30; 21.30; 3.00). რალი (15.00; 1.30; 4.00). სნოუბორდინგი (18.30). ჩოგბურთი (19.00). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.00; 23.30). კრივი (2.00).

**7 იანვარი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** მკლავჭიდი (19.45). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.00; 19.50). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია.*** *НТВ.* ფიგურული ციგურაობა. რუსეთის ჩემპიონატი (17.20). *REN TV.* „სპორტკურიერი“ (21.45; 0.40). *ACT.* „სპორტი ყოველდღე“ (15.30; 23.10). *НТВ плюс спорт.* სამთო თხილამურების გაკვეთილი (10.35). იტალიის საფეხბურთო-ჩემპიონატის მიმოხილვა (10.50). კალათბურთი. ევროლიგა (13.45). ფიგურული ციგურაობა (15.40). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (19.45; 1.10). ჰოკეი (22.15). *ESPN.* ჰოკეი (3.30). ფეხბურთი (6.00; 6.40; 11.30; 23.30). მოტოსპორტი (9.00; 15.30). კალათბურთი (13.30). ფიგურული ციგურაობა (20.00). სპორტული ცენტრი (9.30; 16.00; 18.00; 22.00). *EUROSPORT.* სათხილამურო კროსი (13.00). რალი (15.00; 1.30; 4.00). ტრამპლინიდან ხტომა (15.30). სნოუბორდინგი (17.00). სამთო თხილამურები (18.00; 21.00; 2.00). ფეხბურთი (23.00; 23.30).

**8 იანვარი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი“ (22.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.00; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია.*** *REN TV.* „სპორტკურიერი“ (21.45). *ACT.* „სპორტი ყოველდღე“ (15.30; 23.20). *НТВ плюс спорт.* ჰოკეი (10.30; 15.30; 20.10). ბიატლონი (15.55.). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.10). *ESPN.* ჰოკეი (3.30). ფეხბურთი (6.30; 15.30; 23.00; 0.30). ფიგურული ციგურაობა (7.30; 20.00). სპორტული ცენტრი (9.30; 10.30; 16.00; 18.00; 22.00). კალათბურთი (11.30; 13.30). კრივი (23.30)). რაგბი (0.00). კეგლი (1.30). კარატე (2.30). *EUROSPORT.* ბიატლონი (13.00; 16.00; 17.55). სამთო თხილამურები (I4.20). რალი (15.00; 1.30; 4.00). ჩოგბურთი (19.00). ექსტრემალური სპორტი (3.00).

**9 იანვარი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.00; 19,25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***ევრიკა.*** „სტუმარი“ (20.30). ***რუსეთის ტელევიზია.*** *НТВ.* ჰოკეი (14.00). *ТВ центр.* „ფეხბურთი დიალოგებში“ (15.15). *REN TV.* „სპორტკურიერი“ (21.45), *ACT.* „სპორტი ყოველდღე“ (15.30). *НТВ плюс спорт.* ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები (10.35). ბიატლონი (12.55; 15.15). ჰოკეი (16.55). „დიდი რინგი“ (22.00), ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (23.55). *ESPN.* კრივი (3.00). რაგბი (6.30). ცხენოსნობა (7.00; 16.30). ფიგურული ციგურაობა (7.30; 20.00). სპორტული ცენტრი (9.30; 10.30; 16.00; 22.00). ჰოკეი (10.30; 14.20). ფეხბურთი (15.00; 15.30; 17.00; 23.00). კარატე (2.30). *EUROSPORT.* ბიატლონი (13.00; 16.00). სათხილამურო ცენტრი (13.45; 18.45). სამთო თხილამურები (15.00). ჩოგბურთი (20.00). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (23.30). კრივი (2.00).

**10 იანვარი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.00). ***კავკასია.*** „ვარსკლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***ევრიკა.*** „კვირის სპორტი“ (17.00). *REN TV.* „სპორტკურიერი“ (21.45). *ACT.* „წლის სპორტული შედეგები“ (18.00). „სპორტი ყოველდღე“ (15.30; 23.20). *НТВ плюс спорт.* მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (8.30; 15.30). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.10; 17.25)). ამერიკული ფეხბურთი (10.00, 15.00), ბიატლონი (12.55; 15.55). საჭადრაკო მიმოხილვა (19.20)). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (19.55). ჰოკეი (22.55). *ESPN.* აზიური ფეხბურთი (3.00). კალათბურთი (4.00; 9.00; 13.30; 15.30)). ფეხბურთი (6.00; 7.00; 17.00; 20.00; 22.30; 0.30). სპორტული ცენტრი (10.30; 16.00; 22.00). ბილიარდი (18.00). კარატე (2.30). *EUROSPORT.* ბიატლონი (13.00; 16.00; 19.30). სათხილამურო კროსი (14.30). სამთო თხილამურები (15.15, 18.45). ტრამპლინიდან ხტომა (17.15; 3.15). ჩოგბურთი (21.00). თევზაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (23.30). რალი (1.30; 4.00). სპორტული ცენტრი (2.00).

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 12 იანვარს.




16


26


20

**თარაზულად:** 5. ახლო წარსულში ცნობილი წყალში მხტომელი, 6. „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელი, 8. ხორვატიის საფეხბურთო ნაკრების წევრი, 11. ბანქოს თამაშის სახეობა, 14. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთელი, 15. „ლიონის“ ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 16. მონდიალი-98-ში გამარჯვებული ფეხბურთელი *(ფოტო)*, 17. 80-იანი წლების „რომასა“ და ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 21. სპორტის სახეობა, 22. აზიის საფეხბურთო კონფედერეციაში შემავალი ქვეყანა, 23. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 26. 80-იან წლებში თბილისის „დინამოს“ რუსი კალათბურთელი *(ფოტო)*, 27. სამტრედიის „იბერიის“ ფეხბურთელი, 28. შოტლანდიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი.

**შვეულად:** 1. 60-იან წლებში თბილისის „დინამოსათვის“ ფეხბედნიერი ბალტიისპირელი საფეხბურთო მსაჯი, 2. ახლო წარსულში ინგლისის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 3. ცნობილი ხორვატი საფეხბურთო მწვრთნელი, 4. საფეხბურთო მარშის კომპოზიტორი, 7. მონდიალი-78-ში მონაწილე ირანელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 9. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო გუნდის მწვრთნელი ფიზმომზადებაში, 10. 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთელი, შემტევი ნახევარმცველი, 12. წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, მეკარე, 13. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 18. „ბაიერის“ ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 19. ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი ქალთა საფეხბურთო ნაკრების ცნობილი წევრი, 20. მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ და ავსტრიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი *(ფოტო)*, 24. ტერმინი რაგბიში, 25. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ კალათბურთელი.

## საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე
(ქ. ზესტაფონი)
იბეჭდება პირველად



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**
1. ლa3! მუქარა 2. ლd6X.
1. ...მფ:d4 2. ლc5X.
1. ...მფ:f4 2. ლg3X.
1. ...e3 2. ლ:e3X.

## 1998 წლის 29 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ესტონეთი, 6. ტილბურგი, 8. ჩილავერტი, 11. ბლანი, 14. შელია, 15. ვარიანი, 16. „ლომელი“, 17. არსენა, 21. „არმენია“, 22. იონკი, 23. „იმოლა“, 26. მელაშვილი, 27. „ტიტანიკი“, 28. „მუსკრონი“. **შვეულად:** 1. ასპრილია, 2. მელია, 3. პლატი, 4. აგოსტინი, 7. „ივერია“, 9. ანაბოლიკი, 10. შერინგემი, 12. ბასლერი, 13. ანარქია, 18. ბრონდბიუ“, 19. სელეში, 20. პელეტონი, 24. ჰედია, 25. ოლისე.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე